დამტკიცებულია:

შპს “ქართული სასწავლებელი - თბილისის”
დირექტორის 06.09.2012 წ.N 82.3 ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია “ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის
1.07.2015წ. N 1/63, 04.02.2020წ N1/36 და 14.11.2025წ N1/55 ბრძანებებით

შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“

შინაგანაწესი

ქართული სასწავლებელი

სარჩევი

პრეამბულა 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 10

მუხლი 2. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და ორგანიზაცია 12

მუხლი 3. სასწავლებელში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და გადაყვანის წესები და პირობები ... 14

მუხლი 4. მოსწავლის მომდევნო კლასში (საფეხურზე) გადაყვანის წესები და პირობები ... 16

მუხლი 5. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები 17

მუხლი 6. სასწავლო რეჟიმი. სამუშაო და დასვენების დრო 17

მუხლი 7. “ქართულ სასწავლებელ - თბილისში“ მოსწავლეთა მომსახურების სახეები 18

მუხლი 8. დისციპლინური წარმოება დასაქმებულის მიმართ 19

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების წესი 21

მუხლი 10. დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა 22

მუხლი 11. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა 22

მუხლი 12. სკოლაში დასაქმებულ პირთა ქცევის ნორმები 22

მუხლი 13. დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური სახდელები 24

მუხლი 14. მოსწავლეთა დისციპლინური წარმოება, ქცევის ნორმების დარღვევები და დისციპლინური სახდელის შეფარდება: 26

მუხლი 15. მოსწავლის ქცევის კოდექსი (უფლებები და ვალდებულები) 29

მუხლი 16. მშობლების უფლებები და ვალდებულები 32

მუხლი 17. მასწავლებელის უფლებები და ვალდებულები 34

მუხლი 18. სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა და დასაქმებულთა) გარეგნული იერი ... 39

მუხლი 19. შრომითი ურთიერთობა და თანამშრომელთა მიღება და გათვისუფლება 41

მუხლი 20. მართვის ორგანიზება 44

მუხლი 21. “ქართული სასწავლებელი - თბილისის“ სამეცნიერო ცენტრი 44

მუხლი 22. “ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორი 44

მუხლი 23. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის ეთიკის კოდექსი 45

მუხლი 24. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე 47

მუხლი 25. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში 48

მუხლი 26. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი 49

მუხლი 27. კლასის დამრიგებელი 51

მუხლი 28. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორატი 53

მუხლი 29. პედაგოგიური საბჭო და კლასის პედაგოგიური გაერთიანება 54

მუხლი 30. მოსწავლეთა სათათბირო 55

მუხლი 31. სასწავლებლის საქმიანობის შეფასება 55

მუხლი 32. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები 56

მუხლი 33. ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მისი მიცემის წესი 56

მუხლი 34. ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი 56

მუხლი 35. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები 57

მუხლი 36. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი 57

მუხლი 37. ფინანსური ადმინისტრირება 57

მუხლი 38. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ საქმისწარმოება 60

მუხლი 39. დაქირავებული ტრანსპორტი 60

მუხლი 40. მივლინება 60

მუხლი 41. საზოგადოებრივი ურთიერთობები 61

მუხლი 42 პარტნიორები..... 61

მუხლი 43. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის წესი 61

პრეამბულა

საავტორო საგანმანათლებლო კომპლექსი “ქართული სასწავლებელი” (“ქს”) დაარსდა განათლების სამინისტროს მიერ 1995 წელს.

სასწავლებელი უზრუნველყოფს ზოგად განათლებას და ფუნქციონირებს საკუთარი, ლიცენზირებული საავტორო კონცეფციის საფუძველზე.

კონცეფცია ჩამოყალიბებულია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ეთერ სვანიძის საავტორო პროგრამით: “საგანმანათლებლო კომპლექსის “ქართული სასწავლებლის” სტრუქტურა და სასწავლო პროგრამები”, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს 1998 წლის 9 ივნისის # 1-01/11-45 გადაწყვეტილებით.

სამყაროში ყველა და ყველაფერი მოძრავი, ცვალებადი, ურთიერთშეკავშირებული და განვითარებადია დროსა და სივრცეში, ამიტომ სამყაროს შემეცნებისათვის აუცილებელია, სასწავლო პროგრამაც წარმოადგენდეს დროსა და სივრცეში მოძრავ, ცვალებად და მუდმივად განვითარებად საგანთა ლოგიკურად შეკავშირებულ სისტემას.

“ქს”-ის სასწავლო პროგრამა სამყაროს თანამედროვე მოდელის შესაცნობად დაფუძნებულია დისციპლინათა ერთიანობასა და მთლიანობის ფილოსოფიაზე.

პროგრამა მიმდინარეობს განათლება მდგრადი განვითარების სივრცეში.

1998 წლიდან “ქს” არის იაპონია-საქართველოს და ჩეხეთ-საქართველოს ასოციაციის წევრი.

2002 წლის 27 ნოემბერს “ქართულ სასწავლებელს” მიენიჭა გერმანული ენის სადიპლომო სკოლის სტატუსი.

2005 წლიდან განათლების რეფორმასთან დაკავშირებით სკოლას მიენიჭა თბილისის 34-ე საჯარო სკოლის სტატუსი, 2011 წლიდან “ქართულ სასწავლებელი” ფუნქციონირებს როგორც კერძო სკოლა.

“ქს” არის საგანმანათლებლო სივრცე, სადაც სწავლება განაპირობებს ისეთი პიროვნებების ფორმირებას, რომლებიც თავის ქმედებებში ეყრდნობიან რა ეროვნული კულტურისა და ეთიკის პრინციპებს, გრძნობენ პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე, გახდებიან როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები, ისე მსოფლიოს მოქალაქეები.

საქართველო ოდითგანვე ასრულებდა აზია-ევროპის დერეფნის როლს ევროპისა და აზიის ხალხთა ისტორიაში. ამიტომაც სასწავლებელში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის რეგიონისათვის დამახასიათებელი ფენომენის _ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა გზაჯვარედინის არსის გაცნობიერებას, რადგან საქართველოს მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურის შესწავლის გარეშე.

“ქს”-ის კონცეფციიდან გამომდინარე, სასწავლებელში, აგრეთვე, დიდი ყურადღება ექცევა მულტიკულტურულ და მულტილინგვისტურ განათლებას. დასავლეთ-ევროპულ (გერმანული, ინგლისური და ჩეხური) და რუსულ ენებთან ერთად ისწავლება აღმოსავლური (იაპონური) ენაც.

ნებისმიერი დარგის და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბება შეუძლებლია, თუ მათ ბავშვობიდანვე არ განუვითარდათ ბუნებასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურა, მოვლენების სწორი ხედვა, ეკონომიკური და სამართლებრივი აზროვნების უნარი.

პრობლემა

კაცობრიობის განვითარების პროცესში გარემოსა და ადამიანის ურთიერობის შედეგად დაირღვა კავშირი საზოგადოებასა და გარესამყაროს შორის, რამაც საფრთხე შეუქმნა თავად ადამიანს. ბუნების ჰარმონიის რღვევა მოსალოდნელ საშიშროებად იქცა და, საბოლოოდ, კაცობრიობის მომავალს დაემუქრა.

თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემა განპირობებულია არა ეკოლოგიური, არამედ მართვის სისტემების კრიზისით. მდგრადი განვითარების კონცეფცია არის კრიზისზე რეაქცია, რომელიც წარმოიშვა საზოგადოების უუნარობით მართოს დედამიწის მეურნეობა. იგი გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას დღეს და მომავალში გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნას, გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

აცნობიერებს რა ამ საფრთხეს და გრძნობს პასუხისმგებლობას მომავალი თაობის წინაშე, კაცობრიობა იწყებს ბრძოლას სამყაროს მთლიანობისა და დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. ამ პრობლემის გადაჭრა კი შეუძლია მხოლოდ განათლებულ საზოგადოებას, რომელსაც შესწევს უნარი საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა მომავალზე. სწორედ ამაში მდგომარეობს განათლების პროცესის უმაღლესი მიზანი. ამიტომ მსოფლიო საზოგადოების წინაშე მდგარ ძირითად ამოცანათა რიგს მიეკუთვნება “განათლება მდგრადი განვითარებისთვის” (“გმგ”).

მდგრადი განვითარების მსოფლმხედველობა წარმოადგენს თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთ ცენტრალურ ფილოსოფიურ და ეთიკურ კონცეფციას, რომელიც მიმართულია ადამიანის, ბუნებისა და კულტურის ჰარმონიული თანაარსებობისაკენ.

მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპია პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე _ იმის უზრუნველყოფა, რომ მათაც ჰქონდეთ ისეთი რესურსები და გარემო პირობები, როგორსაც ჩვენ ვფლობთ დღეს. “ეს არის მთლიანობის ფილოსოფია”, სადაც მატერია და სული, ბუნება და კულტურა, წარსული და მომავალი ერთიან, ჰარმონიულ სისტემას ქმნის. ეს არის ისეთი ხედვა, რომელიც სამყაროს განიხილავს როგორც ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობას, სადაც ეკონომიკა, ეკოლოგია, სოციოლოგია და კულტურული მრავალფეროვნება თანაბრად მნიშვნელოვანია და ჰარმონიულ სისტემას ქმნის.

კულტურული მდგრადობა[1] ამ მსოფლმხედველობის ერთ-ერთი არსებითი განზომილებაა. ის გულისხმობს კულტურული იდენტობის, ტრადიციების, ღირებულებების და სულიერი ფასეულობების შენარჩუნებას ამ სწრაფად ცვალებად სამყაროში.

---

[1] **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (mes.gov.ge/uploads/zgemi.pdf)**

მდგრადი განვითარების მსოფლმხედველობით ქვეყნის წინსვლა მაშინ მიიღწევა, როცა საზოგადოება ზრუნავს როგორც ბუნებაზე, ისე საკუთარ კულტურასა და სულიერ ცხოვრებაზე.

„გმგ“ სივრცეში დისციპლინათშორისი კავშირები ფართო გაგებით იგულისხმება და ორიენტირებულია ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად.

ცდილობს რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის, თანამედროვე ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვისაც სულ უფრო აქტუალური ხდება ახალი თაობის აღზრდის საკითხი.

ადამიანი, როგორც პიროვნება, ადრეულ ასაკში ყალიბდება. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშ-ვნელობას იძენს საშუალო განათლების სრულყოფა. `ქართული სასწავლებელი~ ითვალისწინებს რა ყოველივე ამას და გრძნობს მოვალეობას ქვეყნის წინაშე, მისი

მისიაა

აღზარდოს მოაზროვნე, თავისუფალი, თავისი ქვეყნის ტრადიციების, სულიერი და მატერიალური ფასეულობების დამფასებელი, ღირსეული, საკუთარი ქვეყნისა და თავის პლანეტის მომავალზე პასუხისმგებელი თაობა, რომელიც აცნობიერებს, რომ მთელი კაცობრიობის მომავალი ადამიანისა და გარემოს ჰარმონიულ თანაარსებობაზეა დამოკიდებული.

მიზანია

შექმნას განათლების ისეთი სისტემა, რომლის საქმიანობა მიმართული იქნება დასახული მისიის შესასრულებლად. იგი გულისხმობს:

- სასწავლო პროცესს, ორიენტირებულს დაამკვიდროს ისეთი საბაზო განათლება, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობას სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში;
- აღზრდის პროცესს, ორიენტირებულს ჩამოაყალიბოს თავისუფალი, მოაზროვნე, კულ-ტურულად მდგრადი მოქალაქე, რომელიც თავის მოვალეობად ჩათვლის შეიტანოს წვლილი ბუნებისა და საზოგადოების ჰარმონიზაციის პროცესში:
    - რომელიც ფლობს არა მარტო ცოდნის მართვის უნარს, არამედ გამოირჩევა ინტელექტის მაღალი დონით, ბუნებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარით;

გაეროს დეკლარაცია (sdgs.un.org/goals)

იუნესკო - მდგრადი განვითარება (www.unesco.org/en/sustainable-development/culture?utm_source=chatgpt.com)

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია (documents.un.org/doc/undoc/gen/n21/408/18/pdf/n2140818.pdf?OpenElement)

- ინარჩუნებს რა კულტურულ ფესვებს, გააჩნია სხვა კულტურების მიმართ პატივისცემა და კულტურათაშორის დიალოგის უნარი.
- რომელიც, ვაჟას სიტყვებით ***“....თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ. ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთე-ლი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას.... ყოველი მამულიშვილი თა-ვის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარ-გებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამ-დენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სა-სარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის”*** **(ვაჟა-ფშაველა “კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი”).**
- რომელმაც იცის, რომ თანამედროვე სამყაროში, სადაც გლობალიზაცია ინტენსიურად ზემოქმედებს ადგილობრივ კულტურებზე აუცილებელია:
    - კულტურული იდენტობის, ენის, ტრადიციებისა და სულიერი ღირებულებების შენარჩუნება;
    - იცნობდეს, აფასებდეს საკუთარ კულტურულ ფესვებს და ზრუნავდეს მისი შენარჩუნებისთვის, რადგან

“ჩვენი სულიერი და ზნეობრივი განვითარება არის ის ნიადაგი, რომელზედაც ყოველგვარი ეროვნული წინსვლა უნდა შენდებოდეს.” **- ილია ჭავჭავაძე**

ამოცანაა

უზრუნველყოს:

- მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ჰარმონიული, კულტურული, ყოველმხრივ განვითარებული, განათლებული პიროვნების აღსაზრდელად, მისი ნიჭის, უნარის, ინტერესებისა და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოსავლენად;
- სრულფასოვანი საბაზო განათლება პროფესიონალური სწავლების პროცესში;
- მოსწავლეებში უნიკალური, მდგრადი განვითარების მსოფმხედველობის ფორმირება.

იზრუნოს:

- თითოეულ მოსწავლეში თანასწორუფლებიანი ურთიერთობის, თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებისა და მისი ანალიზის, პრობლემების ოპერატიული და ეფექტური გადაჭრის, საკუთარი თვალთახედვის დაცვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის;
- მოსწავლის თვითრეალიზების, თვითაქტივიზირების, თვითგანვითარების, თვითორგანიზებისა და მისი პიროვნული ზრდისთვის;

ხელი შეუწყოს:

- „ბუნება _ ადამიანი _ საზოგადოება“ _ ერთიანი სისტემის არსის გაცნობიერებას.

- მოსწავლეების მიერ ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვების, პრობლემური ამოცანების ახლებურად გადაწყვეტის უნარის გამომუშავებასა და პრაქტიკაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ინფორმაციის მოპოვების უნარის ჩამოყალიბებას;
- ნიჭიერი, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოსწავლის ზრდას;
- საგანმანათლებლო და აღმზრდელობით მიდგომას, რომელიც მიმართულია კულტურული იდენტობის, საკუთარი ენის, ისტორიის, ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებისაკენ.

მნიშვნელობა

სასწავლებლის პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენი სურვილი და უმთავრესი მიზანია, რომ ბავშვმა, როგორც პიროვნებამ, შეძლოს სამყაროში არსებული სირთულეებისადმი საკუთარი როლის დადგენა. სრულიად გაიაზროს ის ინტელექტუალური და რელიგიური გამოცდილება, რომლითაც კაცობრიობამ დღემდე მოაღწია. მიგვაჩნია, რომ ამგვარი პიროვნებები ხელს შეუწყობენ ქვეყანაში სამოქალაქო-სამართლებრივი ცნობიერების, ეროვნული და დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებას; შექმნიან საზოგადოებას, რომელშიც პიროვნული ღირსება იქნება უმთავრესი კრიტერიუმი ადამიანთა შორის ურთიერთობისა.

მოცემული პროგრამა მნიშვნელოვანია:

- არა მარტო ერთი რომელიმე რეგიონისა და ქალაქისათვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის, მსოფლიოსთვის, რადგან იგი ემსახურება მოზარდი თაობის, ქვეყნის მომავლის ახლებური, მდგრადი განვითარების პრინციპებზე აღზრდას. ასეთი თაობა შეძლებს კაცობრიობის ცივილიზაციის ახალ დონეზე აყვანას, სადაც შერწყმული იქნება ბუნების, საზოგადოებისა და ეკონომიკის ინტერესები.
- ამ პროგრამამ უნდა მოამზადოს არა „ნასწავლი“, არამედ განათლებული თაობა, რომლის მოთხოვნები კონცენტრირდება ცხოვრების არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ მხარეებზე, პიროვნებათა შორის ურთიერთობებზე, ცნობიერების კრეატულობაზე, რომელიც მომავალზე ორიენტირებულ კულტურას ახასიათებს.
- რადგან „ქს“ ემსახურება ისეთი აღზრდის პროცესის წარმართვას, სადაც ბავშვს გაცნობიერებული აქვს, რომ შეუძლებელია „სხვა შეიცნო, თუ თავი არ შეიცან“, რომ აღიზარდოს, ფესვები უნდა გაიმაგროს. *„წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოსა, მის გენიალურ ენას, მის გენიალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა. წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებად აგესხმით და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას.“* (გრიგოლ რობაქიძე) ფესვები მისი ენაა, მისი ქვეყანაა, ის ხალხია, რომელსაც თავად მიეკუთვნება. რომ გაიზარდოს, *„საჭიროა ის ღირსება და მადლი“*, რომ *„ერის სულისა და გულის შეგნება“* (ვაჟა-ფშაველა) შეძლოს, რადგან *„ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას. მსოფლიო ტალანტები,*

გენიოსები _ დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარულნიც იყვნენ კაცობრიობისა ...“ (იაკობ გოგებაშვილი).

შედეგი

- „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ პრინციპებზე აღზრდილი თაობა თავის ქმედებაში ეყრდნობა რა ეთიკის პრინციპებს, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეროვნული, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი და დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებას. მომავალში კი მათი სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართვა ეკონომიკურად ძლიერი, სამართლებრივი და გონიერი სახელმწიფოს მოწყობის გარანტიაა.
- პიროვნებას უყალიბდება უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მსოფლმხედველობა, ერთიანი, მუდამცვალებადი სამყაროს ხედვის უნარი.
- მრავალკულტურული და მრავალენოვანი განათლება მოსწავლეებისთვის არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ კულტურულად მდგრადი, ღია და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველია.
- ეროვნულ კულტურაზე დაფუძნებული თაობა, რომელიც ერთდროულად იქნება კავკასიელი ქართველი და ევროპელი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე შინაგანაწესის მიზანია საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე უზრუნველყოს შპს „ქართული სასწავლებელი – თბილისის“ კონცეფციითა და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით განსაზღვრული მიზნების განხორციელება. კერძოდ, ხელი შეუწყოს:

- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;
- მოზარდებში კულტურულ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ცნობიერების განვითარებას;
- გონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებასა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და ზოგადი მეცნიერული ცოდნის საფუძვლების ათვისებას;
- **„განათლება — მდგრადი განვითარებისათვის“** პრინციპზე დაფუძნებული ცოდნის შეძენასა და თვითშეგნების ჩამოყალიბებას;

2. სწავლისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობების შექმნას, შრომისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორი ორგანიზებისა და დისციპლინის განმტკიცების გზით. „ქართული სასწავლებელი – თბილისის“ შინაგანაწესით გათვალისწინებულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მონაწილეთა იმ უფლებების დაცვა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, მათ საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტებითა და სასწავლებლის წესდებით.

3. შინაგანაწესის მიზანია ისეთი ღირებულებითი და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც განავითარებს პასუხისმგებლობას, ურთიერთპატივისცემას, სამოქალაქო ცნობიერებასა და თვითშეგნებას; ხელს უწყობს დისციპლინის, ეთიკისა და ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ინდივიდისა და საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას.

4. აღნიშნული შინაგანაწესი მიზნად ისახავს ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ხელშეწყობასა და საერთო წესებისადმი პატივისცემის განმტკიცებას. ჰეგელის *„სამართლის ფილოსოფიის საფუძვლების“* (§258) მიხედვით, წესრიგის დაცვა წარმოადგენს თავისუფლების პრაქტიკულ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ზნეობრივი, სულიერი და სოციალური ბუნების ჰარმონიულ განვითარებას.

5. შესაბამისად, შინაგანაწესში განსაზღვრული ნორმები და რეგულაციები შემუშავებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო, ერთიანი და ჰარმონიული სასკოლო გარემო, სადაც თითოეული წევრი — მოსწავლე, მასწავლებელი თუ ადმინისტრაციის წარმომადგენელი — გამოხატავს პატივისცემას სკოლის კულტურის, ტრადიციებისა და საერთო ღირებულებებისადმი.

6. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ (შემდგომში სასწავლებელი) შინაგანაწესით გათვალისწინებულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მონაწილეთა იმ უფლებების დაცვა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, მათ საფუძველზე გამოცემული აქტებითა და სასწავლებლის წესდებით.

7. დასახული მიზნის მისაღწევად სასწავლებლის მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია და მშობლები ძირითად პრინციპად აღიარებენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დაფუძნებას ეროვნული და მსოფლიო პედაგოგიური პრაქტიკის საუკეთესო ტრადიციებზე და თანამედროვე მიღწევებზე.

8. სასწავლებლის შინაგანაწესს განიხილავს შპს „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ პედაგოგიური საბჭო და მისი წარდგინებით, ამტკიცებს სასწავლებლის დირექტორი.

9. სასწავლებლის ყველა მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი და სასწავლებელში დასაქმებული სხვა პირი მოვალეა დაიცვას სასწავლებლის შინაგანაწესი.

მუხლი 2. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და ორგანიზაცია

1. პროგრამა „განათლება-მდგრადი განვითარებისთვის“ („გმგ’) მოიცავს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებას.

2. არაფორმალური განათლების მისიისა და მიზნების მიღწევის მიზნით „ქართული სასწავლებელი -თბილისის“ სასწავლო პროცესში ჩართულია აქტივობები:

- კონფერენციებისა და გამოფენების მოწყობა;
- გარემოსდაცვითი აქტივობები;
- გასვლითი გაკვეთილები;
- თემატური ექსკურსიები;
- პროექტები და კვლევები;
- ინსცენირებები;
- დისკუსიები;
- კონკურსები;
- ბანაკები.

3. "ქს"-ში სასწავლო პროცესი სამ ეტაპად ხორციელდება:

- I ეტაპი - (I-VI კლასები) დაწყებითი საფეხური,
- II ეტაპი - (VII-X კლასები) საბაზო საფეხური
- III ეტაპი- (XI -XII კლასები) საშუალო საფეხური.

4. საფეხურების ძირითადი ამოცანებია:

ა. დაწყებითი საფეხურის (I)

- ჩამოუყალიბოს მოსწავლეს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე ეფექტური სწავლისათვის;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა და მიდრეკილებების გამოსავლენად და გასავითარებლად;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის მოპოვებისა და იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც მას დასჭირდება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ბ. საბაზო საფეხურის (II)

- დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
- ჩამოუყალიბოს მოსწავლეს წინაპირობები სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით მომავალი არჩევანის გასაკეთებლად;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში.

გ. საშუალო საფეხურის (III)

- შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის დონის განათლების მისაღებად;
- შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობები იმისათვის, რომ მან თავისი მომავალი განვითარების გზის ასარჩევად გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში.

5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ლიცენზირებული საავტორო პროგრამის საფუძველზე;

6. სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად „ქართული სასწავლებელი _ თბილისი“ ადგენს სასკოლო სასწავლო გეგმას ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით;

7. სასკოლო სასწავლო გეგმას ბრძანებით ამტკიცებს „ქართული სასწავლებლის” დირექტორი;

8. ყველა საფეხურზე სასწავლებლის სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამებს ახორციელებენ საგნის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები.

9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, სასწავლებელი შეიმუშავებს ბავშვის შესაძლებლობების შესაბამის სასწავლო მიზნებს, რაც გულისხმობს აკადემიური წინსვლისა და სწავლისათვის აუცილებელ კონკრეტულ პირობებს.

10. სწავლება და აღმზრდელობითი მუშაობა „ქართულ სასწავლებელ _ თბილისში“ მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

11. „ქართული სასწავლებელი - თბილისი“ მოიცავს, სამხატვრო, სამუსიკო და სასპორტო მიმდინარეობებს. ჩამოყალიბებულია მდგრადი განვითარების, მხარეთმცოდნეობის კლუბები, მოსწავლეთა სხვადასხვა საგნობრივი წრეები, რომელთა მიზანია ბავშვის შემოქმედებითი, მხატვრული აზროვნების განვითარება და ასევე მისი ფიზიკური სრულყოფა.

12. პროგრამა მიმდინარეობს გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების ფონზე. მდგრადი განვითარების საკითხები სამყაროს მცოდნეობის პროგრამის, როგორც სისტემის, განუყოფელი ელემენტია და ბავშვის ასაკისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით ყველა სასწავლო დისციპლინაში მოიაზრება.

13. სახელმძღვანელოებით, სხვა დამხმარე ლიტერატურითა და სხვადასხვა სახის ინფორმაციული მასალით მოსწავლეების უზრუნველსაყოფად სასწავლებელი აღჭურვილია კომპიუტერებით. მოსწავლეებს აქვთ ინტერნეტით სარგებლობის საშუალება.

14. “ქართულ სასწავლებელში” ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია ბიბლიოგრაფიული ფონდი, საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა, აგრეთვე, ელექტრონული რესურსები.

15. “ქართული სასწავლებლის” ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას და სარგებლობის წესს არეგულირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება.

16. “ქართული სასწავლებელში” ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (შემდგომში „IT“) ლაბორატორიები, რომლებიც ხელს უწყობენ სკოლაში საგაკვეთილო, საინფორმაციო და ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზებას, ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს და ამაღლებენ სასწავლო პროცესის აკადემიურ დონესა და მოსწავლეთა მოტივაციას.

17. “ქართული სასწავლებლის” ლაბორატორიის ფუნქციონირებას და სარგებლობის წესს არეგულირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ლაბორატორიის დებულება და სარგებლობის წესი.

მუხლი 3. სასწავლებელში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და გადაყვანის წესები და პირობები

1. “ქართული სასწავლებლის” *პირველ კლასში* ჩაირიცხებიან ბავშვები, რომელთა ასაკი შეესაბამება “საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ ბავშვთა მინიმალური ასაკის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შესაბამისი სასწავლო წლისთვის გამოცემული ბრძანებით განსაზღვრულ ასაკს.

2. სასწავლებელში ბავშვის ჩარიცხვა ხდება ბავშვის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე.

3. ურთიერთობები სასწავლებელსა და მოსწავლეს, ასევე სასწავლებელსა და მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც ბავშვის სასწავლებელში ჩარიცხვისას იდება სასწავლებლის დირექტორსა და მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის.

4. სასწავლებელში მიღებისას უპირატესობა ენიჭებათ ბავშვებს:

ა. რომელთა უფროსი და ან ძმა სწავლობს ამავე სასწავლებელში;

ბ. რომლებიც ცხოვრობენ სასწავლებელთან ახლოს;

5. მშობელს შეიძლება უარი ეთქვას ბავშვის სასწავლებელში ჩარიცხვაზე, თუ მასზე ადრე შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს მოსწავლეთა რაოდენობის დადგენილი ნორმატივების ზღვრულ ოდენობას.

6. სასწავლებელში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა (კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა. ბავშვის ფოტოსურათი 3X4;

ბ. ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ. ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ. ბავშვის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, თუ ასეთი არსებობს);

ე. მშობლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში(ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ვ. კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

ზ. ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

თ. სოციალურად დაუცველის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

7. მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბუთების ჩამონათვალი დაზუსტებული სახით განისაზღვრება ყოველწლიურად „ქს“-ის დირექტორის ბრძანებით.

8. სასწავლებლის პირველ კლასში ჩარიცხვისას იხსნება მოსწავლის პირადი საქმე, რომლის ნაწილს წარმოადგენს ამ შინაგანაწესის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული საბუთები.

9. პარალელურ კლასებში მოსწავლეთა განაწილება ხდება შემთხვევითი შერჩევით.

10. „ქართულ სასწავლებელში“ სხვა სკოლიდან მოსწავლის გადმოყვანა ხდება მშობლის განცხადების და „ქართულ სასწავლებელში“ თავისუფალი ადგილების არსებობისას.

11. სხვა სკოლიდან გადმოყვანისას მოსწავლეთა ჩასარიცხად წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

ა. ბრძანება სხვა სკოლიდან ამორიცხვის შესახებ;

ბ. მოსწავლის პირადი საქმე;

გ. მოსწავლის დახასიათებ ა(„ქს“ მოთხოვნის შემთხვევაში) ;

დ. მიმდინარე შეფასებები და გაცდენები ყველა საგანში, დამოწმებული გამშვები სასწავლო დაწესებულების ბეჭდით (სასწავლო წლის შუალედში გადმოსვლის შემთხვევაში);

ე. ფოტოსურათი 3X4;

ვ. დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ. ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

თ. ბავშვის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ი. მშობლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში(ასეთის არსებობის შემთხვევაში));

კ. კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

ლ. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მ. სოციალურად დაუცველის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

12. “ქართული სასწავლებლიდან“ მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანა ხდება მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადების და სკოლიდან, რომელშიც გადადის მოსწავლე, ოფიციალური მოთხოვნის მიღების საფუძველზე. “ქართული სასწავლებლიდან“ გადაიგზავნება მოსწავლის პირადი საქმე და სასწავლო წლის შუალედში გადასვლის შემთხვევაში მიმდინარე შეფასებები და გაცდენები ყველა საგანში, დამოწმებული გამშვები სასწავლო დაწესებულების ბეჭდით

მუხლი 4. მოსწავლის მომდევნო კლასში (საფეხურზე) გადაყვანის წესები და პირობები

1. მოსწავლის მომდევნო კლასში (საფეხურზე) გადაყვანა ხდება “ქართული სასწავლებელი _ თბილისის” სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის ათვისების შედეგად შესაბამისი კლასის (საფეხურის) დაძლევის შემდეგ.

2. შესაბამისი საფეხურის დაძლევა მოსწავლეს აძლევს:

ა. დაწყებითი საფეხურიდან საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას;

ბ. საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას, ან საბაზო განათლების ატესტატის აღების უფლებას;

გ. საშუალო საფეხურიდან ატესტატის აღების უფლებას.

3. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები განსაზღვრულია “ქართული სასწავლებელი _ თბილისის” შესაბამისი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. სასწავლებელში დაშვებული გამოცდების ტიპები და გამოცდების ჩატარების წესები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

5. საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ თუ მოსწავლე აღარ აგრძელებს სწავლას საშუალო საფეხურზე, მას ეძლევა საბაზო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატი.

მუხლი 5. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები დგინდება ყოველწლიურად “ქართული სასწავლებელი _ თბილისის” სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 6. სასწავლო რეჟიმი. სამუშაო და დასვენების დრო

1. სასწავლო რეჟიმი დგინდება ყოველწლიურად “ქართული სასწავლებელი _ თბილისის” სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება - მოვალეობანი.

3. სასწავლებელში კვირეული და წლიური სასწავლო დღეების რაოდენობა ისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. შესაბამისი სასწავლო წლის გაკვეთილების და გაკვეთილებს შორის შესვენებების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები, ფორსმაჟორული სიტუაცია და ა.შ.) როდესაც სკოლამ შესაძლოა ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილებისა და დასვენებების ხანგრძლივობა.

5. ნებისმიერ თანამშრომელს (მ.შ. მასწავლებელს) კვებისა და დასვენებისათვის აქვს სამუშაო საათებში შესვენების უფლება, რომელიც არ შედის სამუშაო დროში და შეუძლია გამოიყენოს დღის განმავლობაში ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესს.

6. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები არის დასვენების დღეები.

7. არდადეგები და სასკოლო კალენდარი, უქმე დღეების გათვალისწინებით, დგინდება ყოველწლიურად “ქართული სასწავლებელი - თბილისის” სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.

8. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში ნორმირებულ დროს.

9. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. დასაქმებულის თანხმობით შესაძლებელია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ მისთვის დამატებითი დასვენების დროის მიცემა.

10. თუ, საჭიროებიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმით კონკრეტული კლასისთვის განისაზღვრება კვირაში 6-დღიანი სასწავლო პროცესი, შესაბამისი მასწავლებლის სამუშაო კვირაც განისაზღვრება 6 სამუშაო დღით.

11. სკოლის ყველა მასწავლებელი, მიუხედავად მათი დატვირთვისა, ვალდებულია სკოლაში იყოს ყოველ პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე და მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი შვილების აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ.

12. გაკვეთილის მსვლელობისას კლასში შესვლა ეკრძალება ყველას. გამონაკლისი დაიშვება, კლასში ხმაურის ან რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ ამავე კლასის დამრიგებლისა და სასწავლებლის ხელმძღვანელი პირებისთვის.

13. მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გამოცხადდეს სკოლაში. პედაგოგის სკოლაში ყოფნის დრო განისაზღვრება მათთან დადებული ხელშეკრულებისა და სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად.

14. ნებისმიერ გაკვეთილზე დასწრების უფლება აქვთ ამავე კლასის დამრიგებელს, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს და მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების ჯგუფს, საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით.

მუხლი 7. “ქართულ სასწავლებელ - თბილისში“ მოსწავლეთა მომსახურების სახეები

1. სასწავლებელში მოქმედებს გახანგრძლივებული სწავლების, საგნობრივი, სპორტული და ესთეტიკური აღზრდის წრეები, რომელთა ფუნქციონირება განისაზღვრება შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მოსწავლეთა დამატებითი სასწავლო-სააღმზრდელო მომსახურეობის დებულებით და ზუსტდება სასკოლო სასწავლო გეგმაში.

2. “ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მოსწავლეებისთვის, დამატებითი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში, წელიწადში ორჯერ, სასწავლო პროცესი წარიმართება სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ ბანაკებში (აწყური, ბაკურიანი), სადაც მოსწავლეებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ სასწავლებლის სამეცნიერო ცენტრის მიერ შემუშავებული თემატიკით.

3. მოსწავლეთა ფსიქოემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ბავშვთა ფსიქიკის შესაბამისი საგაკვეთილო მასალის მეცნიერული ანალიზის განხორციელების მიზნით სასწავლებელში მუშაობს ფსიქოლოგთა ჯგუფი.

4. სასწავლებელში ორგანიზებულია მოსწავლეთა კვება.

5. სასწავლებელში, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე „წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფი“, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სასწავლებლის მოსწავლეების, მასწავლებლების და თანამშრომლების წესრიგსა და უსაფრთხოებაზე.

6. სასწავლებლში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.

7. სასწავლებელს ჰყავს ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პირველადი საექიმო დახმარების გაწევას. ექიმის საქმიანობასა და უფლება - მოვალეობებს არეგულირებს "ქართული სასწავლებლის" დირექტორის მიერ დამტკიცებული "ექიმის დებულება"

8. სასწავლებელს ჰყავს დარაჯი, რომელიც პასუხისმგებელია გაკვეთილების მსვლელობისას სასწავლებლის შენობიდან მოსწავლეთა გასვლაზე და სასწავლებლის შენობაში მშობლებისა და უცხო პირების შემოსვლაზე.

მუხლი 8. დისციპლინური წარმოება დასაქმებულის მიმართ

1. სკოლაში დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს წინამდებარე შინაგანაწესი.

2. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი;

3. დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომისას სკოლის დირექტორი იკვლევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და მათი შეფასების საფუძველზე იღებს დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას;

4. დასაქმებულისთვის / მოსწავლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

5. საქმის გარემოებათა გამოკვლევა დისციპლინური გადაცდომისას:

5.1. სკოლის დირექტორი იკვლევს დისციპლინური გადაცდომის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე;
5.2. დაინტერესებული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს სკოლასთან;
5.3. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;

ბ) შეაგროვოს ცნობები;

გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;

დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;

ე) დანიშნოს ექსპერტიზა/ნახოს ვიდეო ჩანაწერი;

ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;

ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

5.4. დასაქმებულს უფლება აქვს დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს დასაქმებულს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;
5.5. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით;
5.6. შუამდგომლობასთან დაკავშირებით დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების წესი

1. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დაყენება შეუძლია მშობელს, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს და დირექტორს;

2. წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელების შეფარდების უფლება აქვს დირექტორს;

3. დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი;

4. დისციპლინური გადაცდომის ჩადენა დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე ან ვადაზე ადრე მოხსნამდე უკვე შეფარდებულ დისციპლინურ სახდელზე უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველია;

5. დისციპლინური სახდელის დადებამდე დასაქმებულს უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება;

6. დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, გადაცდომის ჩადენის გარემოებები;

7. დისციპლინარული გადაცდომის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დისციპლინურ დევნას წყვეტს სასწავლებლის დირექტორი;

8. სკოლის დირექტორი გადაწყვეტილებას დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე ან დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ იღებს მიმართვის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

9. სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა

1. დისციპლინური სახდელი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ;

2. ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება დისციპლინური გადაცდომის ფაქტის გამოვლენიდან და წყდება დისციპლინური წარმოების დაწყებისას;

3. დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება დაუშვებელია შრომითი ურთიერთობის შეჩერების დროს.

მუხლი 11. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა

1. დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადაზე ადრე იქნას მოხსნილი, თუ დასაქმებულმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა, თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა და სახდელის დაკისრებიდან გასულია სულ მცირე 6 თვე მაინც;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის გარდა, დირექტორის მიერ დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე შეიძლება მოეხსნას დასაქმებულს განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

3. თუ დასაქმებულს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

მუხლი 12. სკოლაში დასაქმებულ პირთა ქცევის ნორმები

1. სკოლაში დასაქმებული თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებით, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებით. პერსონალი ვალდებულია თავისი პროფესიული მოვალეობებიდან გამომდინარე დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა. დასაქმებულის მხრიდან პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპის დაცვა სავალდებულოა, იგი უნდა აცნობიერებდეს, პატივს სცემდეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს;

ბ. დასაქმებული ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მათ შორის: აკადემიური, რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

გ. პერსონალის საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში სკოლის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას;

დ. პერსონალის მოვალეობაა სკოლაში შექმნას სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემო;

ე. დასაქმებული პატივს უნდა სცემდეს სკოლას და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და მოსწავლეებს ეპყრობოდეს სამართლიანად და პატივისცემით;

ვ. დასაქმებული უნდა ემორჩილებოდეს სკოლის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედი აქტების მოთხოვნებს;

ზ. დასაქმებულს არ აქვს უფლება მიიღოს საჩუქარი, ან ფულადი თანხა დაწესებულების თანამშრომლებისაგან, მოსწავლისაგან, მოსწავლის მშობლისგან (კანონიერი წარმომადგენლისგან) ან სხვა დაინტერესებული პირისაგან სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით;

თ. დასაქმებულმა არ უნდა გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით, არ უნდა მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები;

ი. საზოგადოებასთან ურთიერთობისას პერსონალი პატივისცემით უნდა მოეპყროს სხვა პირებს, ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები;

კ. პერსონალმა თავი უნდა შეიკავოს დაწესებულების ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას;

2. კოლეგებთან ურთიერთობისას დასაქმებული:

ა. ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ. საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;

გ. ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასა და პროფესიული განვითარების საქმეში, არ დაუშვას კოლეგისა და მოსწავლის პიროვნული შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება;

3. დასაქმებული ვალდებულია დაიცვას (მათი შინაარსის გათვალისწინებით), როგორც ზემოაღნიშული პუნქტებით გათვალისწინებული ეთიკის ნორმები და პრინციპები, ასევე შემდეგი წესები:

ა. სასწავლო პროცესი წარიმართოს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად;

ბ. გაკვეთილზე შევიდეს დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ დაუშვას გაკვეთილის დროზე ადრე დამთავრება ან არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

გ. მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს ყველა მოსწავლე;

დ. ხელი შეუწყოს გამჭვირვალე სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას;

ე. გამორიცხოს შეფასებაზე ზემოქმედების ფავორიტიზმის, პროტექციონიზმის, სხვა მსგავსი ფაქტორებით მოსწავლეთა დისკრიმინაცია;

ვ.არ დაუშვას მოსწავლეების, მათი ახლობლების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით.

მუხლი 13. დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური სახდელები

1. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დასაქმებულს ეკისრება დისციპლინური სახდელი;

2. დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომაა:

ა. დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა, სკოლის შინაგანაწესის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

ბ. დასაქმებულის მიერ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის დარღვევა;

გ. დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება;

დ. სხვა დასაქმებულის, მოსწავლის ან სკოლის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, ზნეობრივ - ეთიკური ნორმების დარღვევა;

ე. დასაქმებულის ქმედება, რომელიც ლახავს სკოლის რეპუტაციას/ავტორიტეტს;

ვ. მასწავლებლის მიერ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა;

ზ. მოსწავლეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მოსწავლის პირად ცხოვრებაში ჩარევა;

თ. კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა;

ი. სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან სხვა ტოქსიკური საშუალებების მიღება;

კ. არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკული ან ტოქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ სამსახურში გამოცხადება;

ლ. სკოლისათვის შეგნებულად ან დაუდევრობით მატერიალური / ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;

მ. სკოლის ტექნიკის, აღჭურვილობისა და დოკუმენტების უნებართვოდ ან არასათანადოდ გამოყენება;

ნ. სკოლის ტერიტორიაზე ან სასკოლო დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა;

ო. სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება;

პ. სკოლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა, აგრეთვე სკოლის ტერიტორიაზე შემოსული გარეშე პირის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა;

ჟ. სამსახურში დაგვიანება, გაუფრთხილებლად სამუშაოს გაცდენა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვება;

რ. სკოლის დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა;

ს. საგაკვეთილო პროცესის შეგნებულად ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა

ტ. „უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით და პირობებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

უ. დასაქმებულისთვის შეუფერებელი სხვა საქმიანობა.

3. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა. შენიშვნა;

ბ. წერილობითი გაფრთხილება;

გ. საყვედური;

დ. სასტიკი საყვედური;

ე. ხელფასის დაკავება;

ვ. სამსახურიდან გათავისუფლება.

ზ. დისციპლინური გადაცდომის ჩადენა დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე ან ვადაზე ადრე მოხსნამდე, უკვე შეფარდებულ დისციპლინურ სახდელზე უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველია;

მუხლი 14. მოსწავლეთა დისციპლინური წარმოება, ქცევის ნორმების დარღვევები და დისციპლინური სახდელის შეფარდება:

1. სასწავლებელში წარმოშობილი კრიზისული სიტუაციების მოგვარებას უზრუნველყოფს სასწავლებლის დირექტორიატი, რომელიც იკვლევს პრობლემების წარმოშობის მიზეზებს და ადგენს მათი აღმოფხვრის გზებს.

2. მოსწავლის მიერ ამ შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლისათვის შეუფერებელი ქმედებები, მათ შორის „მოსწავლის ქცევის კოდექსით“ განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და “ქართული სასწავლებლის" შინაგანაწესით დადგენილი წესით.

3. დისციპლინური დევნის დაწყება შესაძლებელია მასწავლებლის, დამრიგებლის, საფეხურის კოორდინატორების, დირექტორის მოადგილეების წარდგინების საფუძველზე. მათი უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ სასწავლო პროცესის განმავლობაში. დაუშვებელია მოსწავლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სასწავლებლის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასწავლებელს აქვს დასაბუთებული ინტერესი.

4. დისციპლინური სახდელების გამოყენების უფლება აქვს დირექტორს, დირექტორის მოადგილეების, საფეხურის კოორდინატორების, დამრიგებლის და მასწავლებლის წარდგინების საფუძველზე.

5. დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვისა მისი გამოვლენის დღიდან. დისციპლინური სახდელი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

6. მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველია ამ შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლისათვის შეუფერებელი ქმედებები და „მოსწავლის ქცევის კოდექსით“ განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა, მათ შორის:

ა. საგაკვეთილო პროცესზე დაგვიანება;
ბ. საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა, სასწავლებელში ყოფნის დროს, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის შესახებ დამრიგებელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ;
გ. გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა;
დ. ნებართვის გარეშე, საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლის დატოვება;
ე. გაკვეთილზე მობილური ტელეფონით ან/და ნებისმიერი სხვა სახის ტექნიკური საშუალებით სარგებლობა თუ მასწავლებელთან წინასწარ არ არის შეთანხმებული;
ვ. მოსწავლის, სკოლაში დასაქმებულის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის ტერიტორიაზე შემოსული გარეშე პირის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა;

ზ. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის შემდეგი ნივთებით გამოცხადება, ტარება/ქონა ან/და მოხმარება/გამოყენება: თამბაქოს ნაწარმი, ელექტრონული სიგარეტი, სანთებელა ან ასანთი, ალკოჰოლური საშუალებები, ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები, ნებისმიერი სახის იარაღი ან ბასრი ნივთი (მაგ. კასტეტი, დანა და ა.შ.) რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იარაღად;

თ. მოსწავლის დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით;

ი. სხვის მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლა, ბულინგის ან/და კიბერბულინგის განხორციელება;

კ. სკოლის ქონების, სკოლის შენობის, სკოლის დოკუმენტაციის ხელყოფა/დაზიანება;

ლ. მოსწავლის მიერ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა ან/და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა;

მ. მოსწავლისათვის შეუფერებელი სხვა ქმედება, რომელიც ამ შინაგანაწესით არის განსაზღვრული.

7. მოსწავლის ქცევის დარეგულირებისა და სასწავლებელში წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, დისციპლინური დარღვევებისათვის მოსწავლეს შეიძლება დაედოს დისციპლინური სახდელი.

8. სასწავლებელში გამოიყენება დისციპლინური სახდელები: სიტყვიერი გაფრთხილება/შენიშვნა, მკაცრი გაფრთხილება, საყვედური, მკაცრი საყვედური, გაკვეთილიდან დათხოვნა, სასწავლებლიდან დროებით დათხოვნა, მოსწავლისთვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება, სახდელის განსაკუთრებული ზომა სასწავლებლიდან გარიცხვა (უკანასკნელი ვრცელდება საშუალი საფეხურის მოსწავლეზე).

9. მოსწავლის გაკვეთილიდან ერთჯერადად გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, რომლის შესახებაც გაკვეთილის დასრულებისთანავე უნდა ეცნობოს შესაბამისი საფეხურის ხელმძღვანელს. აღნიშნული, დისციპლინური სახდელის გამოყენების წინაპირობაა.

10. სასწავლებლიდან 1-დან 5 დღემდე ვადით დათხოვნის ან სასწავლებლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს სასწავლებლის დირექტორს;

11. დაუშვებელია მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით ფულადი ჯარიმის გამოყენება.

12. უმნიშვნელო ტიპის დარღვევებად შეიძლება განხილულ იქნეს ისეთი დისციპლინური დარღვევები, რომელთა მოგვარება შეუძლია მასწავლებელს. (გაკვეთილის მსვლელობისას საუბარი, გაკვეთილზე მოუსვენრობა, წიგნის დაზიანება და სხვა).

13. დისციპლინური დარღვევების და მისი გამეორების შემთხვევებში მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელები და მათი გამოყენების სქემა:

ა. სიტყვიერი გაფრთხილება - 2-ჯერ;

ბ. მკაცრი გაფრთხილება = ორი სიტყვიერი გაფრთხილება + გაფრთხილება

გ. საყვედური = მკაცრი გაფრთხილება + გაფრთხილება;

დ. მკაცრი საყვედური =საყვედური + გაფრთხილება;

ე. სკოლიდან დათხოვნა გარკვეული (1-დან 5 დღემდე) ვადით = მკაცრი საყვედური + ა;

ვ. სკოლიდან გარიცხვა = სკოლიდან დათხოვა + ა (ვრცელდება საშუალი საფეხურის მოსწავლეზე) (ა _ წარმოადგენს ნებისმიერ დისციპლინურ დარღვევას).

13. მოსწავლეს სიტყვიერი გაფრთხილება შეიძლება მიეცეს ამ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის პირველი ან/და მეორე დარღვევის შემთხვევაში და აღნიშნულზე დამრიგებელი სიტყვიერად აწვდის ინფორმაციას მშობელს.

14. მოსწავლეს მკაცრი გაფრთხილება შეიძლება მიეცეს ამ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის მესამედ დარღვევის შემთხვევაში და აღნიშნულზე დამრიგებელი წერილობით აწვდის ინფორმაციას მშობელს.

15. მოსწავლეს საყვედური შეიძლება გამოეცხადოს ამ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის მეოთხედ დარღვევის შემთხვევაში და აღნიშნულზე ადმინისტრაციიდან წერილობით, გამაფრთხილებელი შეტყობინება ეგზავნება მშობელს

16. მოსწავლეს მკაცრი საყვედური შეიძლება გამოეცხადოს:

ა. საყვედურის მიღების შემდეგ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური დარღვევისთვის.

ბ. მოსწავლის ქცევის კოდექსით (ამ შინაგანაწესის 16.1.30 ქვეპუნქტით) აკრძალული ქმედების ჩადენის შემთხვევაში.

გ. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება გასაუბრება დირექტორსა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის და მშობელი ხელმოწერით ადასტურებს მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შინაარსის გაცნობას და ნებისმიერი დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში მოსალოდნელ სახდელს, ამ შინაგანაწესის შესაბამისად.

17. მკაცრი საყვედურის გამოცხადების შემდეგ ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, მათ შორის, კონკრეტული საგნის საგაკვეთილო პროცესისთვის ხელის შეშლის, საგაკვეთილო პროცესზე დაგვიანების და სხვა გადაცდომის გამო, შესაძლოა მოსწავლე სკოლიდან იქნეს დათხოვილი 1 - 5 დღის ვადით. (გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი).

18. სასარგებლო საქმიანობის დაკისრება გულისხმობს ისეთი სახის საქმიანობას, რომელიც მოსწავლის ცოდნის დონისა და დისციპლინის გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული _ დარჩეს სკოლაში გაკვეთილების შემდეგ და შეასრულოს დამატებითი სამუშაო იმ საგანში, რომლის დაძლევაც უჭირს (იმუშაოს დავალებაზე, დაწეროს შესაბამისი თემა, ამოხსნას დამატებითი მაგალითები ან ამოცანები და სხვ.

19. სახდელის განსაკუთრებული ზომა - მოსწავლის სასწავლებლიდან გარიცხვა (ვრცელდება საშუალი საფეხურის მოსწავლეზე) დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დარღვევების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, როცა ყველა დანარჩენი დისციპლინური ზომების გამოყენებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

20. მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევის ყველა კონკრეტული შემთხვევის შესახებ, უნდა განემარტოს მოსწავლეს მის მიერ ჩადენილი გადაცდომის არსი და ეცნობოს მშობელს, ხოლო დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსწავლის სასწავლებლიდან დათხოვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მშობელს წერილობით.

21. გაკვეთილიდან დათხოვის ან სასწავლებლიდან დროებით დათხოვის შემთხვევაში მოსწავლე რჩება სასწავლებლის მზრუნველობის ქვეშ.

22. დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვისა მისი გამოვლენის დღიდან. დისციპლინური სახდელი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

23. დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები.

მუხლი 15. მოსწავლის ქცევის კოდექსი (უფლებები და ვალდებულები)

1. მოსწავლეს უფლება აქვს ისარგებლოს „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ამ შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებით და ვალდებულია განუხრელად შეასრულოს ამ შინაგანაწესით (16.2-16.9 პუნქტებით) განსაზღვრული მოსწავლის ქცევის კოდექსის ყველა მოთხოვნა:

2. მოსწავლეს უფლება აქვს:

ა. მიიღოს განათლება „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამით, სასწავლებლის სასკოლო სასწავლო გეგმითა და შინაგანაწესით განსაზღვრული ფორმით;

ბ. განათლების მიღებისას დაცული იყოს სასწავლო პროცესის შეფერხებისგან;

გ. ირიცხებოდეს „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ მოსწავლეთა კლუბებსა და საგნობრივ წრეებში, რომლებიც ფუნქციონირებს სასწავლებელში;

დ. დაცული იყოს მისი ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და პირადი საკუთრების უსაფრთხოება;

ე. მოითხოვოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

ვ. ნებისმიერ დროს მიიღოს მასწავლებლისაგან ინფორმაცია საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ;

ზ. მიიღოს ინფორმაცია ოლიმპიადების, კონფერენციების, სხვადასხვა სახის აკადემიური თუ შემოქმედებითი კონკურსების პირობების შესახებ, მათში მონაწილეობის მიზნით;

თ. სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით მიიღოს მონაწილეობა მისთვის საინტერესო სასკოლო ღონისძიებებში;

ი. თავის კლასთან ერთად გაემგზავროს სასკოლო ბანაკებში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დისციპლინურ კომიტეტს დასაბუთებულად და მშობელთან შეთანხმებით მიღებული აქვს საწინააღმდეგო გადაწყვეტილება;

კ. გაკვეთილის მსვლელობისას შეკითხვით მიმართოს მასწავლებელს მიმდინარე თემის ფარგლებში. მოითხოვოს დამატებითი ახსნა-განმარტება საკითხზე, რომელიც მისთვის იმ მომენტში გაუგებარია;

ლ. ისარგებლოს გაკვეთილებს შორის შესვენებით;

მ. სასწავლებელში ყოფნის პერიოდში უზრუნველყოფილი იყოს სასკოლო ბუფეტის მომსახურებით;

ნ. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სკოლის ექიმის კომპეტენციით და გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

ო. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

პ. მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მოთხოვნის საფუძველზე სკოლის დირექციასთან შეთანხმებით გათავისუფლდეს გაკვეთილებიდან (სკოლიდან გაშვება). საპატიო მიზეზით (ოჯახური პირობების, ავადმყოფობის გამო ან/და წინასწარი შეთანხმებით) გააცდინოს სასწავლებელი. (ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს ელექტრონულ ჟურნალში უფიქსირდება გაცდენა)

ჟ. ამ პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საპატიო მიზეზით გაცდენილი საათების გამო აკადემიური ჩამორჩენის შემთხვევაში ისარგებლოს დამატებითი მეცადინეობის შეთავაზებით;

რ. ისარგებლოს სასწავლებლის ბიბლიოთეკით, ტელეფონით, კომპიუტერებით, ინტერნეტით.

3. მასწავლებელთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირთან დამოკიდებულება:

ა. მოსწავლე თავაზიანია მასწავლებელთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას;

ბ. მოსწავლე ემორჩილება სასწავლებლის ხელმძღვანელობის, მასწავლებლის და სასწავლებელში დასაქმებული სხვა პირის კანონიერ მითითებებს, თუ ისინი შეთავსებადია

მოქმედ კანონმდებლობასთან, სასწავლებლის შინაგანაწესთან და მოსწავლის ქცევის წესების მოთხოვნებთან;

გ. მოსწავლე არ ცრუობს, სამართლიანია სხვების მიმართ.

4. მოსწავლე თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.

5. მოსწავლის ქცევა სასწავლო პროცესის დროს:

ა. მოსწავლე დროულად ცხადდება გაკვეთილზე ან სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე, ესწრება ყველა გაკვეთილს;

ბ. გაკვეთილზე ყოფნისას მოსწავლეს აქვს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ნივთები და სათანადოდ არის მომზადებული ყველა გაკვეთილისთვის;

დ. მოსწავლე გამოხატავს საკუთარ აზრსა და შეხედულებას სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე;

ე. მოსწავლე არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს სასწავლო პროცესის დროს. მათი სასწავლებელში მოტანა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები მას დღის ბოლომდე დირექციაში/სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ ადგილზე დატოვებენ. წესის დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს ჩამოერთმევა მობილური ტელეფონი და მიეცემა სიტყვიერი გაფრთხილება. აღნიშნული ნივთების განმეორებით მონტანისას, ისინი გადაეცემა მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მოსწავლეს გამოეცხადება მკაცრი გაფრთხილება და შეეხება ამ შინაგანაწესის 15 მუხლის (მოსწავლეთა ქცევის ნორმების დარღვევები და მათზე რეაგირების ზომები) 15.13 პუნქტით განსაზღვრული სქემა.

ვ. მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ. მოსწავლე პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად;

თ. მოსწავლე არ ტოვებს გაკვეთილს მასწავლებლის ნებართვის გარეშე;

ი. მოსწავლე მონაწილეობს ტესტირებებში, ჩათვლებში, გამოცდებში, საკონტროლო სამუშაოებში და ნებისმიერი სხვა სახის გამოკითხვაში, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის სასწავლებლის ხელმძღვანელობა, დამრიგებელი, ან საგნის მასწავლებელი;

6. მოსწავლის ქცევა სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო ღონისძიებების დროს:

ა. მოსწავლე არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;
ბ. მოსწავლე უფრთხილდება, არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სასწავლებლის ქონებას;
გ. მოსწავლე იცავს ბიბლიოთეკითა და კომპიუტერით სარგებლობის წესებს;

დ. მოსწავლე იცავს უსაფრთხოების წესებსა და სისუფთავეს სასწავლებელში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

7. მოსწავლეს ეკრძალება სასწავლებელში შემდეგი ნივთების მოტანა:

ა. ყოველგვარი სახის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იარაღად;
ბ. ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;
გ. ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობის ფული;
დ. აზარტული თამაშის საშუალებები, უხამსობის ამსახველი ნივთები;
ე. ნარკოტიკული საშუალებები;
ვ. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები;
ზ. ფსიქოტროპული საშუალებები (ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე).

8. შემდეგი სახის ქმედებები:

ა. ალკოჰოლური საშუალებების მიღება;
ბ. თამბაქოს ნაწარმის მოწევა;
გ. სხვა მოსწავლეების მიმართ მუქარა, ძალადობა, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებები, მათი დაშინება და გამოძალვა;
დ. ქმედება, რომელსაც შეიძლება გარშემომყოფთათვის საფრთხის შემცველი შედეგები მოჰყვეს;

9. მოსწავლის მიერ ამ კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და “ქართული სასწავლებლის" შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი წესით.

მუხლი 16. მშობლების უფლებები და ვალდებულები

1. მშობელი (კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია:

ა. შეასრულოს სასწავლებლის დირექციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ. შეასრულოს სასწავლებლის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ. შეუქმნას შვილს აღზრდისა და ზოგადი განათლების მიღებისთვის ხელშემწყობი პირობები;

დ. დაემორჩილოს სასწავლებლის ხელმძღვანელობის კანონიერ მოთხოვნებსა და გადაწყვეტილებებს;

ე. დაესწროს სასწავლებლის მიერ მოწვეულ მშობელთა კრებებს. პირველივე მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სასწავლებელში;

ვ. უზრუნველყოს მოსწავლის დროული მოსვლა სასწავლებელში და მისი სასწავლებლიდან დროული გაყვანა;

ზ. არ დაუშვას მოსწავლის მიერ მეცადინეობის უმიზეზო გაცდენა. ავადმყოფობის გამო გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში, წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა;

თ. არ ჩაერიოს სასწავლო პროცესში, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო პროცესის მსვლელობაზე.

ი. სასწავლებლის დირექციასთან, პედაგოგებთან, სხვა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები.

კ. მისი შვილის მიერ ნებით, თუ უნებლიედ სასწავლებლის ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს სასწავლებლისადმი მიყენებული ზარალი.

ლ. მოსწავლის ინფექციური დაავადების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლას;

მ. დროულად და სრულად გადაიხადოს შვილის სწავლის საფასური;

ნ. სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში შეატყობინოს „ქართულ სასწავლებელს“.

2. მშობელს (კანონიერი წარმომადგენელი) უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა კვალიფიციურად შესრულება;

ბ. მიიღოს ინფორმაცია სასწავლებლის დირექციისგან, კლასის დამრიგებლისგან და პედაგოგებისაგან სასწავლებლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;

გ. მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ „ ქართული სასწავლებელი - თბილისის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულების შესაბამისად;

დ. ზეპირად ან წერილობით გამოხატოს თავისი მოსაზრებები და შეხედულებები „ქართული სასწავლებლის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;

ე. განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებები.

მუხლი 17. მასწავლებელის უფლებები და ვალდებულები

1. მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეებს სასკოლო-სასწავლო გეგმით და “ქართული სასწავლებელი - თბილისის” საავტორო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებულ საგნებს.

2. მასწავლებელთა ხარისხისა და პროფესიული განვითარების თაობაზე ზრუნავს შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

3. წარმატებული მუშაობისთვის მასწავლებელს მოეთხოვება:

ა. საგნის მაღალპროფესიულ დონეზე ცოდნა;

ბ. სასწავლო პროცესის დაგეგმვის უნარი;

გ. შემოქმედებითი აზროვნება;

დ. ცოდნის გადაცემის, ბავშვის დაინტერესებისა და შთაგონების უნარი;

ე. მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ცოდნა;

ვ. მოსწავლეთა შესაძლებლობების განსაზღვრის უნარი;

ზ. პრობლემის აღქმისა და გადაწყვეტის უნარი;

თ. სასწავლო მასალის ასათვისებლად ახალი, არაორდინარული ხერხების მოფიქრებისა და გამოყენების უნარი;

ი. კლასში სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების შეტანის უნარი;

კ. პროგნოზირებისა და ექსტრემალურ პირობებში სწრაფი რეაგირების უნარი;

ლ. შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალი ხარისხი;

მ. კომუნიკაბელურობა, ორგანიზებულობა, ობიექტურობა.

4. მასწავლებელი ვალდებულია:

ა. შეასრულოს სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსისა და შრომითი ხელშეკრულების მოთხოვნები. დაიცვას შრომის დისციპლინა და სასწავლებელში დაწესებული რეჟიმი; შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ. მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

გ. იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

5. მასწავლებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება;

ბ. მიიღოს ინფორმაცია დირექციისგან სასწავლებლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;

გ. მოითხოვოს დროული ინფორმირება მასწავლებელთა ატესტაციის პირობებისა და ვადების შესახებ;

დ. მიიღოს დროული ინფორმაცია როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა ოლიმპიადების, კონფერენციების, სხვადასხვა სახის აკადემიური თუ შემოქმედებითი კონკურსების პირობების შესახებ;

ე. მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის მართვაში წესდებით და შინაგანაწესით განსაზღვრული ფორმით;

ვ. მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის შინაგანაწესის შემუშავებაში;

ზ. მოითხოვოს სასწავლებლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა პედსაბჭოზე;

თ. მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელი კადრების შერჩევის მიზნით მოწყობილ კონკურსებში და წამოაყენოს საკუთარი და სხვისი კანდიდატურა არჩევით თანამდებობებზე;

ი. ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და სასწავლებლის მიერ დადგენილი სხვა უფლებებით, სოციალური შეღავათებითა და გარანტიებით;

კ. გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები საკუთარი და კოლეგების უფლებათა დასაცავად.

6. პროფესიული კომპეტენტურობა:

ა. მასწავლებელი, პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია;

ბ. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით;

გ. მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, განათლების სისტემის მართვის ორგანოთა და სასწავლებლის მმართველობითი ორგანოების ბრძანებებს, განკარგულებებს, აგრეთვე სასწავლებლის საქმიანობასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს, თუ ისინი შეთავსებადია სასწავლებლის წესდებასთან, შინაგანაწესთან, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან და შრომით ხელშეკრულებასთან;

დ. მასწავლებელი, თავისი პროფესიული საქმიანობისას, აძლევს მოსწავლეებს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს. იგი მოწოდებულია არ დაუშვას როგორც საკუთარი, ისე მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზო გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები (თუ იგი მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ არის განპირობებული), აგრეთვე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში მითითებული სხვა დისციპლინური გადაცდომები;

ე. მასწავლებელი მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემის უზრუნველყოფის მიზნით ყოველი გაკვეთილისათვის ემზადება შემოქმედებითად და მოსწავლეებში აღძრავს საგნისადმი ინტერესს; გაკვეთილზე მუშაობას წარმართავს მოსწავლის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; უნერგავს მათ პასუხისმგებლობას, სამოქალაქო-სამართლებრივ ცნობიერებას, ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას;

ვ. მასწავლებელი იცავს მოსწავლეებთან, მშობლებთან მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მას ეკრძალება გამოიყენოს სასწავლებლის საავტორო პროგრამები და მასალები სასწავლებლის გარეთ;

ზ. მასწავლებელი, თავისი საქმიანობისას, ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად;

თ. მასწავლებელი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით;

ი. მასწავლებელი ყოველ ახალ სასწავლო წელს სასწავლებელში ცხადდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე ორი კვირით ადრე;

კ. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს პედაგოგიური საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად;

ლ. საგნის მასწავლებელი პასუხიმგებელია ამ საგანში კლასის აკადემიურ მოსწრებაზე;

მ. მასწავლებელი უფრთხილდება სასწავლებლის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს სასწავლებლის რესურსებს, იცავს სასწავლებელში უსაფრთხოების წესებს;

ნ. მასწავლებელი უზრუნველყოფს გაკვეთილზე წესრიგის დაცვას.

7. მაწავლებელი ვალდებულია დაიცვას საშემსრულებლო დისციპლინა, უზრუნველყოს სასკოლო დოკუმენტაციის სწორად წარმოება (ელექტრონული ჟურნალი, მათ შორის მოსწავლეთა საშინაო და საკლასო დავალების რვეულები), შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა. სტანდარტის ის შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;

ბ. კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები;

გ. მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან ამ სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა;

დ. თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები;

ე. საგნის მასწავლებელი პასუხისმგებელია გაკვეთილზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე;

ვ. მასწავლებელი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;

ზ. მასწავლებელი ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. იგი გადის პერიოდულ ატესტაციას განათლების სისტემის მართვის ორგანოთა მიერ განსაზღვრული ფორმით და განსაზღვრულ ვადებში. წელიწადში ერთხელ მონაწილეობას იღებს სასწავლებლის მიერ ჩატარებულ შიდასასკოლო ატესტაციაში.

8. მასწავლებლისთვის დაუშვებელია:

ა. მოსწავლეზე ემოციური (ფსიქოლოგიური) ზეწოლა;

ბ. მოსწავლისთვის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

გ. „ქართული სასწავლებლის“ მოსწავლისთვის დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა;

დ. მშობლებისგან საჩუქრების ან რაიმე სახის ფულადი გასამრჯელოს მიღება;

ე. სამსახურში ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება.

9. მოსწავლეებთან ურთიერთობა:

ა. მასწავლებელი ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად და, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში;

ბ. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს მოსწავლეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;

გ. მასწავლებელი, სასწავლო პროცესის განმავლობაში, ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;

დ. მასწავლებელი მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

ე. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ურთიერთობისას, იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;

ვ. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად;

ზ. მასწავლებელი არ ეწევა მოსწავლეებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;

თ. მასწავლებელი არ იყენებს მოსწავლის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;

ი. მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

10. მშობლებთან ურთიერთობა:

ა. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს;

ბ. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და თავაზიანია მასთან ურთიერთობისას;

გ. ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში მასწავლებელი განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ;

დ. მასწავლებელი, მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ;

ე. მასწავლებელი ატყობინებს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელს უწყობს მის ჩართვას სასწავლებლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში;

ვ. მასწავლებელი დაუყოვნებლივ ახდენს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სასწავლებელში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.

11. სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებსა და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა:

ა. მასწავლებელი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა სასწავლებლის დირექციას, მასწავლებლებსა და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა. იცავს პედაგოგიური და კოლეგიური ეთიკის ნორმებს;

ბ. მასწავლებელი უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან;

გ. მასწავლებელი ყოველი მოსწავლის აკადემიური წარმატების, დისციპლინის მდგომარეობისა და ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის შესახებ სისტემატურად ატყობინებს კლასის დამრიგებელს;

დ. მასწავლებელი, (მისი კომპეტენციის ფარგლებში) მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახდელის გამოყენების შემთხვევაში ატყობინებს სასწავლებლის დისციპლინურ კომიტეტს;

ე. მასწავლებელი თანამშრომლობს სასწავლებლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სასწავლებლის განვითარებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

12. მასწავლებლის მიერ ეთიკის კოდექსის უხეში ან სისტემატური დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 18. სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა და დასაქმებულთა) გარეგნული იერი

1. სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეთა და დასაქმებულთა) გარეგნული იერი წარმოადგენს სკოლის კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების გამოხატულებას.

2. „ქს“-ის საგანმანათლებლო გარემო ეფუძნება ეროვნულ ღირებულებებს, ტრადიციებისადმი პატივისცემას, სულიერ მემკვიდრეობას და აკადემიური დისციპლინის პრინციპებს.

3. სკოლის მიზანია ისეთი გარემოს შენარჩუნება, სადაც ცოდნა, ზნეობრიობა და სულიერი განვითარება განუყოფელი ერთიანობაა, ხოლო თითოეული წევრი გამოხატავს ამ ღირებულებებს

თავისი გარეგნული იერით და ემსახურება მშვიდი, მოწესრიგებული, თავშეკავებული, ღირსეული თაობის აღზრდას.

4. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის (მოსწავლის, მასწავლებლის, ტექნიკური და ადმინისტრაციული თანამშრომლის) გარეგნული იერი ასახავს სკოლის შინაგან კულტურას, ტრადიციებსა და ღირებულებებს. მოწესრიგებული, აკადემიური და ზომიერი იერი წარმოადგენს სულიერი და ეთიკური დისციპლინის გარეგან გამოვლინებას, რომელიც ხაზს უსვამს ეროვნული კულტურისადმი პატივისცემას და საგანმანათლებლო გარემოს ღირსეულ სახეს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული წესების დაცვა უზრუნველყოფს ისეთი ატმოსფეროს შენარჩუნებას, სადაც შინაგანი ზნეობრიობა და გარეგანი კულტურა თანხვედრაშია და ქმნის ერთიან, ჰარმონიულ საგანმანათლებლო სივრცეს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათალისწინებით, ასევე ,,ქართული სასწავლებელი-თბილისის“ უსაფრთხოებისა და დისციპლინის დაცვის მიზნით, სასკოლო სივცეში, სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა და დასაქმებულთა) მხრიდან დაუშვებელია:

ა. მკვეთრი მაკიაჟის გამოყენება;

ბ. არაბუნებრივი ფერებით მკვეთრად შეღებილი თმა;

გ. პირსინგის ტარება;

დ. ქალი მასწავლებლისათვის თვალშისაცემი და გოგონა მოსწავლეთათვის თვალშისაცემი ან/და ძვირადღირებული სამკაულები და აქსესუარები;[2]

ე. მამაკაცი მასწავლებლებისა და ბიჭი მოსწავლეთათვის სამკაულის ტარება;[3]

ვ. დაუშვებელია ქუდით ან სხვა თავსაბურავით ყოფნა საგაკვეთილო პროცესზე, გარდა სამედიცინო ან რელიგიური მიზეზისა.

6. სასწავლებელში დასაქმებული ყველა პირი წარმოადგენს სკოლის სულიერ, აკადემიურ და კულტურულ ავტორიტეტს. მათი იერი უნდა იყოს სკოლის ღირებულებებთან თანხვედრაში და გამოხატავდეს პროფესიონალიზმსა და პატივისცემას როგორც საკუთარი საქმიანობის, ასევე სასწავლო პროცესის მიმართ. დასაქმებული:

ა. უნდა იყოს მოწესრიგებული, სუფთა და აკადემიური გარემოს შესაბამისი;

ბ. სამოსი უნდა გამოხატავდეს თავშეკავებულ და პროფესიონალურ სტილს;

გ. სასწავლო ან ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილე პირი ვალდებულია გამოიყურებოდესსკოლის კულტურისა და პროფესიული ეტიკეტის შესაბამისად.

---

[2],[3] ტრადიციულად, საქართველოს საგანმათლებლო სივრცეში სკოლაში დასაქმებულთათვის და მოსწავლეებისთვის სამკაულის ტარება ეწინააღმდეგება როგორც უსაფრთხოების ნორმებს, ასევე კულტურულ ტრადიციებსა და სასკოლო ეთიკას.

7. მოსწავლე ვალდებულია სასწავლებელში გამოცხადდეს სასწავლო გარემოსთვის შესაფერისი, მოწესრიგებული და თავშეკავებული გარეგნობით, რაც გამოხატავს პატივისცემას სკოლისადმი და შეესაბამება მის კულტურულ ღირებულებებს.

8. ზედა სამოსი:
ა. უნდა შეესაბამებოდეს აკადემიური სივრცის ეთიკურ ნორმებს;
ბ. უნდა ფარავდეს მხრებს და არ უნდა იყოს ღრმად ამოჭრილი;
გ. უნდა ფარავდეს დიაფრაგმას;
დ. არ უნდა იყოს ხელოვნურად დახეული ან დეკორატიული ფორმით, რომელიც არღვევს აკადემიურ სტილს.

9. ქვედა სამოსი:
ა. უნდა შეირჩეს ეთიკური და აკადემიური ნორმების გათვალისწინებით;
ბ. დასაშვებია მოწესრიგებული თავისუფალი ან სპორტული სტილის ტანსაცმელი (მაგ., ჯინსი);
გ. დაუშვებელია ხელოვნურად დახეული ან არაეთიკური ფორმის სამოსი;
დ. სიგრძე და ფორმა უნდა შეესაბამებოდეს სკოლის წესებსა და აკადემიურ ატმოსფეროს.

10. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის (მოსწავლე, დასაქმებული) გარეგნული იერი წარმოადგენს სკოლის კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების ხილულ გამოხატულებას, რაც ხელს უწყობს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შენარჩუნებას, სადაც სწავლა, ურთიერთპატივისცემა, სულიერი სიმტკიცე და ღირსეული იერი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებებს.

11. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის გარეგნული იერი განიხილება არა მხლოდ, როგორც ფორმალური მოთხოვნა, არამედ როგორც საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა განათლების, სკოლისა და საზოგადოებისადმი. მოწესრიგებული, თავშეკავებული და აკადემიური იერი გამოხატავს:
ა. სულიერ კულტურას და შინაგან ღირსებას;
ბ. პატივისცემას სკოლისადმი და სხვებისადმი;
გ. პასუხისმგებლობას, თავმდაბლობას და კეთილგანწყობას;
დ. საერთო აკადემიური ატმოსფეროსადმი ერთგულებასა და თანასწორობის პრინციპებს.

12. აღნიშნული წესები არა მხოლოდ ვიზუალური ჰარმონიის შენარჩუნებას, არამედ შინაგანი და გარეგანი კულტურის ორგანულ ერთიანობას ემსახურება და ქმნის ისეთ სასკოლო გარემოს, სადაც სულიერი, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპები ერთიანად გამოხატულია თითოეული წევრის ქცევასა და იერსახეში.

მუხლი 19. შრომითი ურთიერთობა და თანამშრომელთა მიღება და გათვისუფლება

1. დასაქმებულის შრომითი ურთიერთობა სკოლასთან წარმოიშობა ხელშეკრულების ან/და სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

2. სამუშაოზე მიღებისას სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, მისაღებ პირს მოსთხოვოს იმ დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც მისთვის საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად.

3. თითოეულ მასწავლებელზე, სკოლაში მისი მიღების მომენტიდან, იხსნება პირადი საქმე.

4. პირადი საქმე შეიცავს:

ა. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, ავტობიოგრაფიას/CV, პირადობის მოწმობის ასლს, ნასამართლობის შესახებ ცნობას;

ბ. სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ ცნობას;

გ. კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელ დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ. პედაგოგის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (არსებობის შემთხვევაში).

5. სკოლის თანამშრომლები, გარდა მასწავლებლებისა სამუშაოზე მიიღებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გასაუბრების გზით. სკოლის დირექტორი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს სამუშაოზე მიღების დამატებითი კრიტერიუმები.

6. სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით.

7. განცხადებების გავრცელება სკოლაში არსებული ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება ელექტრონული და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით (სკოლის ვებ-გვერდი, ვებ-გვერდები სამსახურის მაძიებელთათვის (teacherjobs.ge)).

8. მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მისაღებად კონკურსის ეტაპებია:

ა. კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

ბ. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;

გ. საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).

9. დირექტორი უფლებამოსილია განსაზღვროს სამუშაოზე მიღების დამატებითი ეტაპები.

10. კონკურსის ჩასატარებლად სასწავლებელში შეიქმნება საკონკურსო კომისია.

11. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ საათებზე შესულ განაცხადებებს და შეარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება „ქართული სასწავლებლის“ მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

12. გადარჩეული განაცხადებების საფუძველზე კანდიდატის შერჩევა ხდება გასაუბრების საშუალებით. მოწმდება პედაგოგიური და საგნობრივი კომპეტენცია.

13. სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე.

14. მასწავლებლის გათავისუფლებისას ახალი მასწავლებლის დანიშვნამდე მის ფუნქციებს ახორციელებს იმავე საგნის ან მონათესავე საგნის პედაგოგი.

15. სკოლაში სამუშაოდ მიღებულ ყველა თანამშრომელთან სკოლის დირექტორი დებს შრომით ხელშეკრულებას.

16. თანამშრომლის მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია:

ა. თანამშრომელს გააცნობს სკოლის შინაგანაწესს;

ბ. განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს;

გ. აცნობს უსაფრთხოების წესებს.

17. თანამშრომელთა სამუშაოდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი.

18. სასწავლებლის დირექტორს უფლება აქვს დაითხოვოს თანამშრომელი საქართველოს ორგანული კანონოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, სკოლის შინაგანაწესის, დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის, არაკეთილსინდისიერად ან/და არაჯეროვნად შესრულების, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებების უხეში დარღვევის ან სხვა მიზეზით, რომელიც ჩაითვლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად.

19. თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დირექტორი არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. გაფრთხილებიდან აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მას უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა.

20. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ დასაქმებულს არ ეძლევა კომპენსაცია.

21. შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისში“ მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს ადგენს სასწავლებელში თანამშრომლის მიღების, კონკურის ჩატარების წესი.

მუხლი 20. მართვის ორგანიზება

1. “ქართული სასწავლებელი - თბილისის” მართვის ორგანიზებას ახორციელებს მისი დამფუძნებელი სასწავლებლის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. დამფუძნებელი აყალიბებს სამეცნიერო ცენტრს, ნიშნავს სასწავლებლის დირექტორს

3. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დამფუძნებელს უფლება აქვს შეითავსოს სასწავლებლის დირექტორის ფუნქციები.

მუხლი 21. “ქართული სასწავლებელი - თბილისის“ სამეცნიერო ცენტრი

1. სამეცნიერო ცენტრი წარმოადგენს “ქართული სასწავლებელი-თბილისის” დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამეცნიერო ცენტრის საქმიანობა რეგულირდება “შპს “ქართული სასწავლებელი-თბილისის” სამეცნიერო ცენტრის დებულებით”, რომელიც წარმოადგენს ამ შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 22. “ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორი

1. “ქართული სასწავლებელი” საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელიც კოორდინირებას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, სამუსიკო, სამხატვრო და სასპორტო სექტორების საქმიანობას.

2. დირექტორი წარმოადგენს სასწავლებელს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასწავლებლის სახელით დებს გარიგებებს, ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

3. დირექტორი “შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის” წესდების შესაბამისად ახორციელებს სკოლის მართვას. ასევე, სასწავლებლის კონცეფციის შესაბამისად, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილე სუბიექტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს, რევიზიას უტარებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვს და ამტკიცებს შპს “ქართული სასწავლებელი - თბილისის” შინაგანაწესს, დებულებებსა და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს.

4. დირექტორი ამტკიცებს შპს “ქართული სასწავლებელი - თბილისის” კონცეფიის შესაბამისად, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილე სუბიექტების რეკომენდაციების გათვალისწინებით სანეცნიერო ცენტრის მიერ შემუშავებულ სასკოლო-სასწავლო გეგმას.

5. დირექტორი ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭოზე წარდგენილ და განხილულ სკოლის განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმებს.

6. დირექტორი ხელს აწერს სასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

7. დორექტორი პასუხისმგებელია სკოლაში განათლების რეფორმისა და სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების განხორციელებაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტების, განკარგულებების, ბრძანებების შესრულებაზე, სასწავლებლის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე, სასწავლო პროგრამების განხორციელებაზე.

8. დირექტორი დამფუძნებელთან ერთად აყალიბებს სკოლის დირექტორატს და დებს ხელშეკრულებას დირექტორატის ყველა წევრთან. ანაწილებს მოვალეობებს მათ შორის.

9. დირექტორი ზედამხედველობას ახორციელებს სასწავლებლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე და პასუხისმგებელია მის სწორ ორგანიზაციაზე.

10. დირექტორი ქმნის თანაბარი პატივისცემის ატმოსფეროს მასწავლებლებს, დირექციასა და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებს შორის, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა. უზრუნველყოფს სასწავლებელში ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილგანწყობის გარემოს დამკვიდრებას, თანამშრომელთა შორის კოლეგიალობის გრძნობის გაღრმავებასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას. ხელს უწყობს სასწავლებლის განვითარებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში თანამშრომელთა საყოველთაო მონაწილეობას.

11. მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად განაგებს სასწავლებლის ქონებას და ფინანსურ სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე.

12. მოქმედი კანონმდებლობისა და ამ შინაგანაწესის საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში იძლევა მითითებებს, გამოსცემს სკოლის ბრძანებებს.

13. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე სხვა საქმიანობას.

მუხლი 23. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის ეთიკის კოდექსი

1. დირექტორის პროფესიული კომპეტენტურობა - სასწავლებლის დირექტორი:

ა. თავისი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია;
ბ. იცავს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ კოდექსით დადგენილ ნორმებს;
გ. ხელს უწყობს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევასა და ამ პოლიტიკის შესაბამისი სიახლეებისა და ცვლილებების განხორციელებას;

დ. თავისი საქმიანობის შესრულებისას სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითია;
ე. ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას;
ვ. იჩენს თანაბარ ყურადღებას მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნისა;
ზ. უზრუნველყოფს სასკოლო დისციპლინის დაცვას ისეთი მეთოდების საშუალებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას;
თ. უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას;
ი. არჩევს სკოლის პერსონალს კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მიხედვით;
კ. იცავს მოსწავლესთან მშობელთან, მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ლ. ხელს უწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას;
მ. არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;
ნ. არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;
ო. არ იყენებს მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;
პ. უფრთხილდება და კეთილსინდისიერად განკარგავს სკოლის ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ მიზნობრივ გამოყენებას;
ჟ. არ ავრცელებს მცდარი ინფორმაციის შემცველ საჯარო განცხადებებს სკოლის საქმიანობის ან/და მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თაობაზე;
რ. ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს დაპირისპირებულ მხარეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
ს. არ აყენებს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს რაიმე სახის შეურაცხოფას და არ ახდენს მათზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას;
ტ. ზრუნავს მისი თანამდებობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე;
უ. ყოველთვის პუნქტუალური და მოწესრიგებულად ჩაცმულია;
ფ. მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და გასაგები ენით.

2. მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა:

ა. თანაბარი პატივისცემით ეპყრობა მასწავლებლებს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;

ბ. თანამშრომლობს ყველა მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან, ითვალისწინებს მათ აზრებს სკოლის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
გ. ითავისებს მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადასალახად და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად აწვდის თავის შენიშვნებსა და შეთავაზებებს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს;
დ. ხელს უწყობს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს პროფესიულ განვითარებაში;
ე. უქმნის ყველა პირობას დამწყებ მასწავლებლებს სასკოლო გარემოში ინტეგრირებისთვის;
ვ. უზრუნველყოფს მასწავლებლების დროულად ინფორმირებას ზოგადი განათლების სფეროში სიახლეების, დამხმარე პროფესიული ლიტერატურისა და პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ;
ზ. ხელს უწყობს მასწავლებლებს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.

3. მოსწავლეებთან ურთიერთობა:

ა. ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება;
ბ. ხელს უწყობს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო, პატრიოტული და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებად ჩამოყალიბებაში;
გ. პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად;
დ. მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში;
ე. მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;
ვ. არ უწევს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
ზ. ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე სასწავლო პროცესის დროს.

4. მშობლებთან ურთიერთობა:

ა. ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მშობლების ჩართულობას;
ბ. მშობლის სურვილის შემთხვევაში, განმარტებებს აძლევს მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ;
გ. თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში ატარებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს;
მშობელთან რთიერთობას წარმართავს თავაზიანად და თანამშრომლობის ფორმით.

მუხლი 24. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე

1. დირექტორის მოადგილე ზედამხედველობას ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე და პასუხისმგებელია მის სწორ ორგანიზაციაზე.

2. ახორციელებს სწავლების საფეხურის კოორდინატორების საქმიანობის მონიტორინგს, ანალიზის საფუძველზე გეგმავს გასაუმჯობესებელ მექანიზმებს.

3. მონაწილეობს „ქართული სასწავლებელი _ თბილისის“ შინაგანაწესის შემუშავებაში.

4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლებლის დირექტორთან შეთანხმებით, წყვეტს პედაგოგებისა და სხვა მოსამსახურე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

5. პასუხისმგებელია სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის, საავტორო-სასწავლო პროგრამის განხორციელებაზე.

6. ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რაც მოიცავს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებასა და ანალიზის საფუძველზე რეაგირებას.

7. ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას, ორგანიზებას უწევს პედაგოგთა ტრეინინგების მომზადებასა და ჩატარებას.

8. ზედამხედველობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებას და უზრუნველყოფს მის განხორციელებასა და მონიტორინგს.

9. პასუხისმგებელია სკოლის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

10. სასწავლებლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის უფლებამოსილებებს.

მუხლი 25. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში

1. დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ზედამხედველობას ახორციელებს „ქართული სასწავლებლის“ აღმზრდელობით პროცესზე, კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს:

ა. სკოლაში ჯანსაღი, ზნეობრივი, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნასა და დამკვიდრებას;

ბ. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების განხორციელებას;

გ. თამამშრომლებისა (მათ შორის მასწავლებლების) და მოსწავლეთა მხრიდან ეთიკური ნორმების დაცვის კონტროლს, “სასწავლებლის” შინაგანაწესის შესაბმისად;

დ. მასწავლებლის მიერ ქცევის კოდექსის განუხრელ შესრულებას;

ე. მოსწავლეთა დისციპლინარულ და საქციელის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობას და მის დანერგვას;

ვ. “სასწავლებლის” აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვასა და კოორდინაციას;

ზ. მოსწავლეთა და თანამშრომელთა შორის დისციპლინის გამყარების კოორდინაციას;

თ. მოსწავლეთაშორის მეგობრული და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დანერგვას.

მუხლი 26. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი

1. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი წარმოდგენს შესაბამისი სწავლების საფეხურის საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს. იგი წარმართავს შესაბამისი საფეხურის დამრიგებელების შეხვედრებს და კოორდინირებას უწევს ამავე საფეხურის კლასების დამრიგებლების მუშაობას.

2. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი ინიშნება სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით.

3. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი კონტროლს უწევს შესაბამის საფეხურზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობას.

4. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელს მოეთხოვება:

ა. შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალი ხარისხი, ეთიკის ნორმების დაცვა;
ბ. კომუნიკაბელურობა, ორგანიზებულობა, ობიექტურობა;
გ. კლასის დამრიგებლებს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნის უნარი;
დ. ორგანიზებისა და კოორდინირების უნარი;
ე. კოლექტიურ გარემოში ხელმძღვანელობის უნარი;
ვ. პრობლემის სწრაფად აღქმისა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი.

5. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა. შეასრულოს სასწავლებლის შინაგანაწესის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის და შრომითი ხელშეკრულების მოთხოვნები, დაიცვას შრომის დისციპლინა და სასწავლებელში დაწესებული რეჟიმი;
ბ. გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება სასწავლებლის შინაგანაწესის პრაქტიკული განხორციელებისათვის;
გ. შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, სასწავლებლის მართვის ორგანოების ბრძანებები, განკარგულებები და სასწავლებლის საქმიანობასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა დავალებები, რომლებიც შეთავსებადია სასწავლებლის შინაგანაწესთან და შრომით ხელშეკრულებასთან;
დ. სისტემატურად იმუშაოს საკუთარი პროფესიული დონის ასამაღლებლად;

ე. კონტროლი გაუწიოს შესაბამის საფეხურზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობას;
ვ. შექმნას კლასის დამრიგებლებს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთ-თანამშრომლობის ატმოსფერო;
ზ. საფეხურზე რაიმე სახის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში მოახდინოს სწრაფი რეაგირება და კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება;
თ. კონტროლი გაუწიოს კლასის დამრიგებლებზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას;
ი. შესაბამისი რეაგირება მოახდინოს სასწავლო პროცესის სრულყოფილი წარმართვის ხელისშემშლელ ნებისმიერ ქმედებაზე (კლასის დამრიგებლებისა და პედაგოგების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, მოსწავლეების ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომა და სხვა);
კ. კლასის დამრიგებლებთან ერთად შეიმუშაოს შესაბამისი საფეხურის კლასების პედსაბჭოებისა და მშობელთა კრებების განრიგი და სისტემატურად აკონტროლოს მათი დროული ჩატარება და დოკუმენტაციის (ოქმების) გაფორმება ;
ლ. ორ კვირაში ერთხელ ჩაატაროს საფეხურის დამრიგებელთა სხდომა, რომელზეც მოისმენენ კლასის დამრიგებლების ინფორმაციას განვლილიპ ერიოდის საქმიანობის შესახებ, განიხილავენ მიმდინარე საკითხებს და წამოჭრილ პრობლემებს;
მ. უზრუნველყოს კლასის დამრიგებელთა საქმიანი წინადადებებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
ნ. სისტემურად განახორციელოს ელექტრონული ჟურნალის წარმოების მონიტორინგი;
ო. საგნის მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში, მოახდინოს სასწრაფო რეაგირება და უზრუნველყოს საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობა;
პ. დაეხმაროს კლასის დამრიგებლებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში;
ჟ. საჭიროების შემთხვევაში დააყენოს პრობლემური საკითხები სასწავლებლის დირექციის წინაშე და მიაღწიოს მათ დროულ გადაწყვეტას;
რ. მოამზადოს სასწავლებლისდამრიგებელთა გაერთიანებულ შეკრებაზე გასატანი საკითხები.

6. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში საფეხურის ხელმძღვანელის მიმართ ვრცელდება დისციპლინური სახდელის იგივე ზომები, რომლებიც გამოიყენება მასწავლებლის მიმართ.

7. სწავლების საფეხურის ხელმძღვანელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
ბ. მიიღოს ინფორმაცია სასწავლებლის დირექციისგან სასწავლებლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;
გ. მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის მართვაში ამ შინაგანაწესით განსაზღვრული ფორმით;
დ. მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის შინაგანაწესის შემუშავებაში;
ე. მოითხოვოს სასწავლებლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა პედსაბჭოს სხდომაზე;

ვ. მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელი კადრების შერჩევის მიზნით მოწყობილ კონკურსებში;
ზ. ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და სასწავლებლის მიერ დადგენილი სოციალური შეღავათებითა და გარანტიებით;
თ. გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები საკუთარი და კოლეგების უფლებათა დასაცავად.

მუხლი 27. კლასის დამრიგებელი

1. სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, თითოეულ სასწავლო კლასს ჰყავს კლასის დამრიგებელი, რომელიც წარმოადგენს კლასის საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს.

2. კლასის დამრიგებელი ინიშნება სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით. დირექტორის მოადგილის მიერ წარდგენილი კანდიდატურებიდან.

3. კლასის დამრიგებლად შეიძლება შეირჩეს, როგორც სასწავლებლის მასწავლებელი, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართული ნებისმიერი დასაქმებული პირი, ასევე დასაშვებია სასწავლებელს ყავდეს სხვა ფუნქციებისგან გამონთავისუფლებული დამრიგებელი.

4. სასწავლებლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებია ორ ან მეტ კლასს ჰყავდეს ერთი დამრიგებელი.

5. კლასის დამრიგებლის საქმიანობა, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ დამრიგებლის დებულებით.

6. კლასის დამრიგებლის მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას. ეხმარება მოსწავლეებს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

7. კლასის დამრიგებელს მოეთხოვება:

ა. კლასში მოსწავლეთათვის მიმზიდველი, თბილი, თავისუფალი და სწავლისათვის კომფორტული გარემოს შექმნის უნარი;
ბ. კლასის პედაგოგებსა და მოსწავლეთა მშობლებს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნის უნარი;
გ. ორგანიზებისა და კოორდინირების უნარი;
დ. კოლექტიურ გარემოში ხელმძღვანელობის უნარი.
ე. შესაბამისი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება.

8. კლასის დამრიგებელი ვალდებულია:

ა. გაატაროს საჭირო ღონისძიებები სადამრიგებლო კლასში “ქართული სასწავლებელი-თბილისის“ შინაგანაწესის პრაქტიკული განხორციელებისთვის;
ბ. შეისწავლოს მოსწავლეთა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები;
გ. შეაგროვოს ყველა მშობელთან საკონტაქტო ინფორმაცია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეძლოს მათთან დაკავშირება;
დ. ყოველდღიურად მივიდეს სასწავლებელში სადამრიგებლო კლასის გამოცხადებამდე არაუგვიანეს 15 წუთით ადრე და დაჰყოს სამუშაო ადგილზე კანონით გათვალისწინებული 8 სამუშაო საათი;
ე. სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს გააცნოს მოსწავლეთა ქცევის წესების მოთხოვნები და აწარმოოს სისტემატური ზედამხედველობა მის შესრულებაზე;
ვ. დაეხმაროს მოსწავლეებს აკადემიური თუ სხვა პრობლემების მოგვარებაში;
ზ. შესაბამისი საფეხურის კოორდინატორთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში აწარმოოს მოსწავლეების და მასწავლებლებლების გაკვეთილებზე დაგვიანებისა და გაკვეთილების გაცდენის ყოველდღიური კონტროლი. (11 სთ-ზე ფლობდეს ინფორმაციას გაცდენების მიზეზების შესახებ);
თ. მყისიერად, (იმავე დღეს) დაადგინოს მოსწავლის მიერ ყოველი გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზები და აცნობოს მშობელს. (საჭიროების შემთხვევაში გაუგზავნოს მას წერილობითი მოწვევა);
ი. დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საგნის მასწავლებლის კონტაქტი მოსწავლის მშობელთან და პრობლემის გადასაჭრელად იკისროს შუამავლობა მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებლებს შორის;
კ. არ დაუშვას კონკრეტული მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი.
ლ. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოაწესრიგოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირადი საქმეები, შეიტანოს მათში ყველა საჭირო ჩანაწერი. უზრუნველყოს მოსწავლეთა შემდეგ კლასში გადაყვანის სათანადო გაფორმება;
მ. პერიოდული მონიტორინგი გაუწიოს მასწავლებლების მიერ ელექტრონული ჟურნალის წარმოებას;
ნ. პერიოდულად მოისმინოს საგნის მასწავლებლის ანგარიში თითოეული მოსწავლის ყოფაქცევისა და სასწავლო წარმატების შესახებ. მასწავლებლებთან ერთად იმსჯელოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე;
ო. სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი მიმღები სკოლისთვის მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებელი დოკუმენტაციის მოწესრიგება;
პ. თვეში ერთხელ მოიწვიოს კლასის პედაგოგები და უზრუნველყოს მასზე კლასის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის საკითხების განხილვა, კონკრეტული მოსწავლის დასახელების გარეშე;
ჟ. სემესტრში ორჯერ ჩაატაროს მშობელთა კრება, რომლის მოწვევის თარიღი აცნობოს დირექციას. საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს მშობელთა რიგგარეშე კრება;
რ. ჩაუყაროს საფუძველი და განამტკიცოს მოსწავლესა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობები;

ს. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გამოვლენას, სოციალურ-პიროვნულ განვითარებასა და მათ ესთეტურ აღზრდას. დაამკვიდროს მოსწავლეთა შორის ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და შემწყნარებლობის ტრადიცია;
ტ. დროულად მიაწოდოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა თვალსაჩინოებები, სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები;
უ. წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ჩაატაროს სადამრიგებლო საათი და შეასრულოს, შესაბამისი სასწავლო წლის, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოვალეობები.
ფ. სასწავლებლის დირექციასთან შეთანხმებით დაგეგმოს და ორგანიზება გაუწიოს სადამრიგებლო კლასის ექსკურსიებსა და ლაშქრობებს. ჩაატაროს კლასში სხვადასხვა საკითხებზე დისკუსიები, ვიქტორინები, ზეიმები;
ღ. ყურადღება მიაქციოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა მიერ სასკოლო ინვენტარის, სხვადასხვა თვალსაჩინოების, ტექნიკური საშუალებების მოვლა-პატრონობა.
ყ. იზრუნოს საკლასო ოთახის მოწესრიგებაზე. პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია საფეხურის ხელმძღვანელს სადამრიგებლო კლასის ინვენტარის მდგომარეობაზე;

9. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში კლასის დამრიგებლის მიმართ ვრცელდება დისციპლინური სახდელის იგივე ზომები, რომლებიც გამოიყენება მასწავლებლის მიმართ.

10. კლასის დამრიგებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება;
ბ. ისარგებლოს მასწავლებლისთვის სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული ყველა უფლებით;
გ. აუცილებლობის შემთხვევაში დააყენოს სასწავლებლის ხელმძღვანელობის წინაშე მოსწავლის სასწავლებლიდან გარიცხვის საკითხი (წესდების მოთხოვნათა დაცვით);
დ. მოითხოვოს სადამრიგებლო კლასის მასწავლებლებისაგან ანგარიში თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ;
ე. მოითხოვოს სასწავლებლის დირექციისაგან დახმარება კლასში წამოჭრილი და მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრაში;
ვ. დაესწროს სადამრიგებლო კლასში ნებისმიერ საგნის გაკვეთილს.

11. სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება კლასის დამრიგებლის საქმიანობის შეფასება „დამრიგებლის შეფასების ფურცელში“ შესული კრიტერიუმების მიხედვით და გამოვლინდება წლის საუკეთესო დამრიგებელი.

მუხლი 28. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორატი

1. „ქართული სასწავლებელი _ თბილისის“ დირექტორატი წარმოადგენს მართვის ორგანოს, რომელიც დირექტორთან ერთად წარმართავს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ საქმიანობას.

2. „ქართული სასწავლებელი _ თბილისის“ დირექტორატის საქმიანობა, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება დირექტორის მიერ დამტკიცებული შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისი“’ დირექტორატის დებულებით.

3. სასწავლებლის დირექტორატის შემადგენლობაში შედიან სასწავლებლის დირექტორი, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილეები, სწავლების I, II, III საფეხურების ხელმძღვანელები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი.

4. სასწავლებლის დირექტორატი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წყვეტს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. სასწავლებლის დირექტორატი ორგანიზებას უწევს სასწავლებლის შინაგანაწესის პროექტის შეიმუშავებს, უზრუნველყოფს მის სრულყოფას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილე სუბიექტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

6. სასწავლებლის დირექტორატი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე დაკვირვების პრაქტიკულ შედეგებს აცნობს სამეცნიერო ცენტრს/ საგნობრივ კათედრებს, რომელიც, მათი გათვალისწინებით, სრულყოფს სასწავლო პროგრამებს.

7. სასწავლებლის დირექტორატი პასუხისმგებელია:

ა. სამეცნიერო ცენტრის/საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამების განხორციელებაზე და ამ მიზნისთვის სათანადო პირობების შექმნაზე;
ბ. სასწავლებლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაზე.

8. დირექტორატი უფლებამოსილია:

ა. დაამყაროს და წარმართოს ურთიერთობები ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ. მოიზიდოს დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები;

გ. რაციონალურად და გამჭვირვალედ განკარგოს დაწესებულების სახსრები და რესურსები

დ. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;

ე. ორგანიზება გაუწიოს განსაკუთრებულად ნიჭიერ, წარმატებულ, და სოციალურად დაუცველ მოსწავლეებზე სტიპენდიებისა და დახმარებების შესაძლებლობების ფარგლებში გაცემას.

მუხლი 29. პედაგოგიური საბჭო და კლასის პედაგოგიური გაერთიანება

1. პედაგოგიური საბჭო აერთიანებს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მასწავლებლებს, თავის საქმიანობას წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, შპს „ქართული სასწავლებელი თბილისის“ დებულების, შინაგანაწესისა და შპს „ქართული სასწავლებელი თბილისის“ პედაგოგიური საბჭოს დებულების შესაბამისად.

2. კლასის პედაგოგთა გაერთიანება წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც შედგება კონკრეტული კლასის საგნის მასწავლებლებისაგან და მისი საქმიანობა, უფლებელი და მვალეობები რეგულირდება შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ კლასის პედაგორიური გაერთიაების დებულებით.

3. კლასის პედაგოგთა გაერთიანება იხილავს შესაბამის კლსში სასწავლო პროცესის მსვლელობასა და მეთოდური საქმიანობის ეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს კლასის სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, ყოფაქცევა, სასწავლო პროგრამის განხორციელება და მისი ეფექტურობა.

მუხლი 30. მოსწავლეთა სათათბირო

1. მოსწავლეთა სათათბირო არის სასწავლებლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევითი ორგანო.

2. სასწავლო წლის დასაწყისში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ სათათბიროებს შესაბამისი სასწავლო წლის ვადით.

3. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა სათათბიროების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს შესაბამისი საფეხურის ყველა მოსწავლეს.

4. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს შესაბამის სათათბიროში ირჩევენ თანასწორობის, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრონციპების დაცვით.

5. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა სათათბიროები თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევენ სამ-სამ წარმომადგენელს "ქართული სასწავლებლის“ მოსწავლეთა გაერთიანებულ სათათბიროში.

6. მოსწავლეთა თითოეულ სათათბიროს ხელმძღვანელობს შესაბამისი სათათბიროს წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.

7. გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრ რაოდენობად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა სათათბიროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას.

8. მოსწავლეთა გაერთიენებული სათათბირო უფლებამოსილია: შეიმუშაოს და წარუდგინოს სასწავლებლის დირექტორატს მოსწავლეთა წინაადებები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის რეკომენდაციები და წინადადებები მოსწავლეთა კლუბების ჩამოყალიბების შესახებ; გამოხატოს მოსწავლეთა მოსაზრებები, შენიშვნები, ინიციატივები.

მუხლი 31. სასწავლებლის საქმიანობის შეფასება

1. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ მიერ წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შედეგების შეფასება.

2. შეფასებას, ახდენს სასწავლებელში დასაქმებული სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილე ყველა პირი, „სკოლის ეფექტურობის ინდიკატორებით" განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

3. მშობლების აზრის გათვალისწინების მიზნით, თითოეული კლასის საქმიანობის შეფასებას ახდენენ შესაბამისი კლასის მოსწავლეთა მშობლები, „კლასის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ინდიკატორებით" განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მუხლი 32. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები

1. შრომის ანაზღაურების კალკულაციას ადგენს ბუღალტერი და სახელფასო უწყისის სახით წარუდგენს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ ფინანსურ მენეჯერსა და დირექტორს

2. ხელფასი გაიცემა სახელფასო უწყისზე დირექტორის რეზოლუციის შემდეგ.

3. სკოლაში დასაქმებულებზე შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ. ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ანაზღაურების გაცემა უნდა მოხდეს თანამშრომლის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

4. შრომის ანაზღაურების გაცემის ადგილია ქალაქი თბილისი.

5. ყველა სახის ანაზღაურება გაიცემა ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 33. ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მისი მიცემის წესი

1. სკოლაში დასაქმებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ ანაზღაურებადი შვებულებით- წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.

2. დასაქმებულის შვებულებაში წასვლის უფლება წარმოიშობა საწავლებელში მისი მუშაობის 11 თვის შემდეგ. სკოლის დირექტორთან შეთანხმებით დასაქმებულს შვებულება შეიძლება მიეცეს ამ ვადის გასვლამდეც.

3. დასაქმებული შვებულებით სარგებლობის მოთხოვნით სკოლის დირექტორს მიმართვს წერილობითი განცხადებით. შვებულება ფორმდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.

4. დასაქმებული ვალდებულია შვებულების დასრულებისთანავე დაუბრუნდეს სამუშაო ადგილს.

5. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

მუხლი 34. ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი

1. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.

2. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

მუხლი 35. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები

1. სკოლა ვალდებულია თანამშრომლებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები, შეასრულოს შრომის დაცვის წესები. განახორციელოს ღონისძიებები უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სფეროში.

2. სკოლის დირექცია პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯამრთელობისათვის, სასწავლებელში მათი ყოფნისა და სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.

3. სკოლა ვალდებულია დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის ,,საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" N28/ნ ბრძანება.

4. სკოლის შრომის დაცვისა და ხარძარსაწინააღმდეგო უსაფთხოების საქმინობა, უფლებამოსილება და ვალდებულებები განსაზღვრულია დირექტორის მიერ დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით“.

მუხლი 36. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი

1. სკოლაში შემოსული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დადგენილი წესით.

2. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე სკოლის დირექტორი რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

მუხლი 37. ფინანსური ადმინისტრირება

1. ფინანსური განყოფილება პასუხისმგებელია „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ რესურსების კოორდინაციაზე, ფინანსური დაგეგმვაზე, საბუღალტრო აღრიცხვაზე და მოიცავს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ორგანიზებას, კონტროლსა და მონიტორინგს.

2. გადახდები:

- **გადახდის მოთხოვნა** – მზადდება „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ თანამშრომლის მიერ და ამოწმებს მისი უშუალო ხელმძღვანელი. (ხელმოწერილი ამობეჭდილი ვერსია ან ელექტრონული ვერსია გადმოგზავნილი ელექტრონული ფოსტით)
- **ბიუჯეტთან შედარება** – ფინანასური მენეჯერი ამოწმებს მოთხოვნილი თანხას ბიუჯეტთან და ამოწმებს მას ხელმოწერით ან ელექტრონული ფოსტით უგზავნის დირექტორს.
- **დირექტორის რეზოლუცია** - ამოწმებს მას ხელმოწერით ან ელექტრონული ფოსტით უგზავნის ფინანსურ მენეჯერსა და თანამშრომელს.

- **გადახდის განხორციელება** - თანამშრომელი ბუღალტერს წარუდგენს დამტკიცებულ გადახდის მოთხოვნას, რიც შემდეგაც ხდება თანხის ანაზღაურება.
- **დამატებითი საბუთები** - საჭიროების შესაბამისად გადახდის მოთხოვნას თან ერთვის შესაბამისი ხელშეკრულება და/ან მიღება-ჩაბარების აქტი და/ან სასაქონლო ზედნადები .

3. ნაღდი ფულის მართვა:

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ სასწავლებელ- თბილისს“ აქვს სალარო აპარატი, ის არ ოპერორებს ნაღდ ფულზე. გამონაკლისის შემთხვევაში, თუკი ასეთი იქნება „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ბუღალტერი გასცემს სალაროს (ნაღდი ფულის) შემოსავლის ან გასავლის ორდერს, რომელსაც საჭიროების შესაბამისად თან ერთვის შესაბამისი ხელშეკრულება და/ან მიღება-ჩაბარების აქტი და/ან სასაქონლო ზედნადები.

4. საბანკო მენეჯმენტი:

„ქართულ სასწავლებელ - თბილისს“ აქვს საბანკო ანგარიშები „თიბისი“ ბანკსა და „ხალიკ ბანკ საქართველოში“.

ფინანსური მენეჯერი ვალდებულია რეგულარულად, ყოველთვიურად მოახდინოს საბანკო ანგარიშების შემოწმება და კონტროლი.

„ქართულ სასწავლებელ - თბილისს“ აქვს კორპორატიული ბარათი, რომელიც გამოიყენება ინტერნეტით შესყიდვებისა და მივლინებების დროს.

„ქართულ სასწავლებელ - თბილისს“ ორივე ბანკში აქვს ინტერნეტ ბანკინგი. საბანკო ოპერაციებს ახორციელებს ბუღალტერი

5. ბუღალტრული აღრიცხვა:

„ქართული სასწავლებელი - თბილისი“ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

„ქართული სასწავლებელი - თბილისი“ სარგებლობს საბუღალტრო პროგრამით „ორისი“.

„ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ბუღალტერი ვალდებულია აწარმოოს ბუღალტრული გატარებები, წარადგინოს ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციები, შეინახოს შესაბამისი საბუთები და აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

6. ბიუჯეტირება:

„ქართული სასწავლებელი- თბილისის“ დირექტორი და ფინანსური მენეჯერი ახდენენ მომავალი სასწავლო წლის ბიუჯეტირებას. სკოლის სასწავლო წელი იწყება მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში და შესაბამისად მთავრდება მომდევნო წლის აგვისტოში.

ფინანასური მენეჯერი ვალდებულია ყოველთვიურად აკონტროლოს ბიუჯეტი და შეადაროს იგი რეალურ დანახარჯებს.

ყოველი სემესტრის ბოლოს ფინანსური მენეჯერი დირექტორთან ერთად განიხილავს ბიუჯეტს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს საჭირო ცვლილებები.

7. კონტროლის მექანიზმები:

საბანკო ტრანზაქციები - საბანკო ჩეკის განაღდებისათვის აუცილებელია მინიმუმ ორი (დირექტორისა და ფინანსური მენეჯერი) ხელმოწერა);

გადახდების კონტროლი - საბანკო გადახდის დროს „ქართული სასწავლებელი - თბილისი“ სარგებლობს „დიჯიპას“-ით, რომელიც ინახება ბუღალტერთან. „დიჯიპასი“-ს პაროლი იცის ფინანსურმა მენეჯერმა;

ანგარიშვალდებული პირების კონტროლს ახორციელებს ფინანსური მენეჯერი, აკონტროლებს შესაბამისი ინვოისების და/ან შეტყობინებების დროულად გაგზავნას;

ბუღალტრული კონტროლი - ფინანასური მენეჯერი ყოველკვირეულად განიხილავს და აკონტროლებს, ბუღალტრულ პროგრამაში შეტანილ ინფორმაციას, ადარებს მას საბანკო ანგარიშების ამოსაწერებთან და შესაბამის დოკუმენტაციასთან;

შესყიდვები - შესყიდვების შემთხვევაში საჭიროა დირექტორისა და ფინანსური მენეჯერის მიერ დამოწმებული შესყიდვის ორდერი.

8. ფინანსური ანგარიში უნდა შეიცავდეს:

ა. ბიუჯეტს
ბ. მიმდინარე შემოსავლებს
გ. მიმდინარე ხარჯებს
დ. მოგება-ზარალის კალკულაციას
ე. პროგნოზირებას
ვ. სწავლის გადასახადის გადახდების მიმდინარე სიტუაციას
ზ. ინვენტარიზაციას

9. ძირითადი საშუალებები - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ფინანსური მენეჯერი, სამეურნეო დარგში დირექტორის მოადგილესთან და ბუღალტერთან ერთად ყოველწლიურად ახორციელებს ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას.

10. ინვენტარიზაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დასახელება
- დანიშნულება
- აღწერა
- მდებარეობა
- მდგომარეობა
- შესყიდვის თარიღი
- გამყიდველი
- შესყიდვის ფასი
- ექსპლუატაციის ვადა

- ცვეთის %
- პასუხისმგებელი პირი
- საიდენტიფიკაციო ნომერი

მუხლი 38. „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ საქმისწარმოება

1. შპს „ქართულ სასწავლებელ-თბილისში“ საქმისწარმოების წესები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად.

2. აღნიშნულის წესი მკტიცდება სასწავლებლის დირექოტირის მიერ და ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს.

მუხლი 39. დაქირავებული ტრანსპორტი

1. „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ თანამშრომლებს უფლება აქვთ ისარგებლონ დაქირავებული ტრანსპორტით:

ა. ორგანიზაციული საქმიანობის მოგვარების მიზნით
ბ. მოსწავლეების ექსკურსიებზე ან გასვლით გაკვეთილებზე წასაყვანად

2. ნებისმიერი სახის ტრასპორტის დაქირავებისას, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, თანამშრომელმა უნდა წარმოადგინოს ადმინისტრაციაში მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო ინფორმაცია (მძღოლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი, საბანკო რეკვიზიტები, ავტო-მანქანის ტექ. პასპორტის ასლი, ნაღდი ფულის გადახდის შემთხვევაში სალაროს გასავლის ორდერი „სგო“. სატრანსპორტო კომპანიის შემთხვევაში კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი და საბანკო რეკვიზიტები;)

3. მოსწავლეების ექსკურსიებზე ან გასვლით გაკვეთილებზე წასაყვანად თანამშრომელმა უნდა დაიცვან მოსწავლეთა ტრასპორტირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები და უსაფრთხოების წესები.

4. გამონაკლისის შემთხვევაში „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს საკუთარი ავტო-მანქანა. გახარჯული საწვავის ანაზღაურების მიზნით თანამშრომელმა ბუღალტერს უნდა წარუდგინოს გადახდის მოთხოვნის ორდერი .

მუხლი 40. მივლინება

1. „ქართულ სასწავლებელ-თბილისში“ დასაქმებულის მივლინებაში წასასვლელად საჭიროა დირექტორის მიერ დამოწმებული სამივლინებო მოთხოვნა.

2. სამივლინებო დღიურის (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელის თანხის ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მივლინების თანხების ანაზღაურება მოხდება სამივლინებო ანგარიშის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 41. საზოგადოებრივი ურთიერთობები

1. საბეჭდი მასალა - ნებისმიერ ბეჭდურ საქონელს, სახელმძღვანელოებს, ბროშურებს, ტრიპლეტებსა თუ ბანერებსა უნდა ჰქონდეს „ქართული სასწავლებელი- თბილისის ლოგო.

2. ვებგვერდი - „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ ვებ გვერდია www.geo.school.

3. სოციალური მედია - „ქართული სასწავლებელი-თბილისს“ აქვს ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/pisoschool/ ; ტვიტერი - https://twitter.com/Georgian_school; ინსტაგრამი - https://www.instagram.com/GeoSchoo1/

მუხლი 42 პარტნიორები

1. „ქართული სასწავლებელი - თბილისი“ არის „საქართველო-იაპონიისა“ და „საქართველო-ჩეხეთის“ ასოციაციის კოლექტიური წევრი.

2. „ქართული სასწავლებელი - თბილისი“ არის „საქართველოს სამარიტელთა კავშირის“ წევრი

მუხლი 43. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის წესი

1. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის საკითხს განიხილავს და წყვეტს „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორი.

2. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის საკითხი შეიძლება დააყენოს „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ პედაგოგიური საბჭოს 1/3-მა ან/და დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა.

3. შინაგანაწესში ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და დამტკიცება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.